

# ንພንႺሀንພጋ໑ຉႺሀ ዋንႺንᲜሠタን



## UNIDENTIFIED VIOLENCE

WISG 2017

## ᲐᲠᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

#### "არაღიარებული ძალადობა" – სამართალწარმოების ანგარიში Unidentified Violence – Litigation Report

ავტორი / Author: ქეთევანი ბახტაძე / Ketevani Bakhtadze რედაქტორი / Editor: ეკატერინე აღდგომელაშვილი / Ekaterine Aghdgomelashvili

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2016 Women's Initiatives Supporting Group (WISG), 2016 www.women.ge

ISBN 978-9941-0-9662-4

ყდის დიზაინი / Cover design: ე. წერეთელი / E. Tsereteli ფოტოს ავტორი / Photo: ს. საღარაბე / S. Sagharadze დაკაბადონება / Layout: თ. ლორთქიფანიძე/ T. Lortkiphanidze მთარგმნელი / Translators: თ. ბერია / T. Beria დაბეჭდილია / Printed: შპს "სეზანი" / Cezanne Ltd

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

პუბლიკაცია მომზაღებულია RFSL-ს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი" (WISG) და ის შესაძლოა არ ემთხვეოდეს RFSL-ს ოფიციალურ პოზიციას. / The publication is financially supported by RFSL. The content of the publication is responsibility of the Women's Initiatives Supporting Group (WISG). The opinions expressed in the document do not necessarily reflect any official position of RFSL.



ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

## ს**Ა**ᲠᲩᲔᲕᲘ

შესავალი	7
ანგარიშის შესახებ	8
1. ქალთა მიმართ ძალადობა და ძალადობა გენდერის ნიშნით	10
2. დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობასა და გენდერის ნიშნით ძალადობის მიმართ	13
3. ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა	17
4. ძალადობა ლგბტი ადამიანთა მიმართ	21
4 .1 სიძულვილით მოტივირებული დანაშაული	23
4. 2. ლგბტი ადამიანების საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	30
4. 3. ოჯახში ძალადობა	32
5. ლგბტი ადამიანთა შევიწროვება საჯარო სივრცეში და უკანონო დაკავება	35
6. დისკრიმინაცია	46
6. 1. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია	46
6. 1. 1. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში	46
6. 1. 2. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა არაპირდაპირი დისკრიმინაცია	48
6. 2. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე	51

7. გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლება	56
7.1. ლგბტი აქტივისტების უსაფუძვლო დაკავება პოლიციის მიერ	59
7. 2. ძალადობა ლგბტი აქტივისტებზე	61
7. 3. ლგბტი ადამიანთა სათემო ორგანიზაციების ქონების დაზიანების მუქარა	62
8. სქესის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა	63
8. 1. ძალადობის მსხვერპლი ქალის პერსონალური მონაცემის უნებართვო გავრცელება	64
8. 2. შანტაჟი და მუქარა ლგბტი ადამიანთა მიმართ	68
8. 3. გენდერის სამართლებრივი აღიარება	70
9. სტიგმის გაძლიერება და სიძულვილის ენა	77
10. WISG-ის მიერ 2016 წელს დოკუმენტირებული შემთხვევების, სამართლებრივი კონსულტაციებისა და საადვოკატო მომსახურების სტატისტიკა	81
	86
	88
"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG)	96

### 

ქალთა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახში, ფემიციდი, ნაადრევი ქორწინება, გაუპატიურება, გენიტალიების მუტილაცია განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს ცალკეული მარგინალიზებული ჯგუფების შემთხვევაში. ქალები, რომლებიც მიეკუთვნებიან ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იძულებით ადგილნაცვალი პირები, რელიგიური ან ეთნიკური უმცირესობები, კომერციულ სექს-სამუშაოში ჩართული ქალები და სხვა, ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. ამგვარი დანაშაული და მისი სპეციფიკა ხშირად უხილავი რჩება საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის.

რაც შეეხება გენდერის ნიშნით ძალადობის ფორმებსა და მისი გავრცელების მასშტაბებს, ამ მიმართულებით მდგომარეობა უმძიმესია, რადგან ლგბტი ადამიანები დისკრიმინაციისგან სხვებზე მეტად ზარალდებიან. "ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი
(ლბტ) ქალები სქესისა და გენდერული როლების გაბატონებული
პატრიარქატული შეხედულებების გამო, განიცდიან გენდერული
ნიშნით ძალადობას როგორც სქესის, ისე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე."¹ სახელმწიფოსთვის
გენდერული ძალადობის მთელი რიგი ფორმები და გავრცელების
მასშტაბები უხილავი რჩება. ლგბტი ადამიანების მიმართ ძალადობას სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში უბრალოდ არ აღიარებს ან თავად გვევლინება მოძალადის როლში, რაც სისტემური ხარვეზების
აღმოფხვრისათვის საჭირო პოლიტიკური ნების ნაკლებობასა და
ცალკეული პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეთა მხრიდან ღია
დისკრიმინაციულ მოწოდებებშიც გამოიხატება.

<sup>1</sup> Submission to the Council of Europe Ad Hoc Committee on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence. ILGA Europe. 2009. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hUspWo

#### ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერის ნიშნით ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის აუცილებელია ამგვარი ძალადობის ცალკეული ფორმების გავრცელებისა და სიხშირის კვლე-ვა, ოფიციალური სტატისტიკის შეგროვება და ანალიზი.

საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც შეისწავლიდა ქალების მიმართ ძალადობისა და გენდერის ნიშნით ძალადობის სპეციფიკას. სახელმწიფო უწყებების მიერ აღირიცხება ამ ტიპის ძალადობისა და დისკრიმინაციის სპეციფიკური ფორმები, მაგალითად ოჯახში ძალადობა, ფემიციდი, გაუპატიურება და სხვა, მაგრამ ძალადობის სხვადასხვა ფორმები, მაგალითად სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში, ადევნება და სხვა, საზოგადოებისთვის უხილავია და სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება.

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უხილავია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საფუძველზე ჩადენილი დანაშაული და დისკრიმინაცია, რადგან სახელმწიფო მისი ცალკეული ფორმების იგნორირებას ახდენს. დღემდე არ არსებო ბს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სოგის საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევების ოფიციალური სტატისტიკა. ასეთ შემთხვევებს მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველი და ლგბტი სათემო ორგანიზაციები აღრიცხავენ. თუმცა, ეს მონაცემები მხოლოდ ფრაგმენტულ სურათს ქმნის და არ არის საკმარისი ამ ტიპის ძალადობის ბუნებისა და პრევალირების ანალიზისთვის.

ლგბტი საკითხებზე მომუშავე სათემო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ საქართ-ველოში ლგბტი ადამიანები სისტემატურად არიან ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ცხოვრების ყველა სფეროში. საზოგა-

დოებაში არსებული ძლიერი ჰომო/ბი და ტრანსფობიური განწყობების ფონზე, "ქამინ აუთის" (საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ლიად საუბარი) შიშის, სამართალდამცავთა და ზოგადად მართლმსაჯულების სისტემის მიმართლგბტ თემის წევრთა დაბალი ნდობის გამო ამგვარი დანაშაულის/ინციდენტების უმეტესობა აღურიცხავი და შესაბამისად, სათანადორეაგირების გარეშე რჩება სახელმწიფოს მხრიდან.

ლგბტი აღამიანები ამჯობინებენ სამართლებრივი დახმარება სწორედ სათემო ორგანიზაციისგან მიიღონ, რადგან ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად არ არსებობს ინფორმაციის გავრცელების რისკი მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ წინასწარი ინფორმირებული თანხმობის გარეშე. ასეთ პირობებში, რეალურად არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სათემო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებული შემთხვევები.

ნინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში 2016 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრამდე წარმოებული საქმეების, გაწეული ინდივიდუალური და ჯგუფური სამართლებრივი კონსულტაციების და დოკუმენტირებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების სტატისტიკასა და ანალიზს. დოკუმენტში თავმოყრილია საქმეები, რომლებზეც WISG-ის
იურისტებმა იმუშავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
შესაბამის ორგანოებთან, ცალკეულ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოსთან, საქართველოს სახალხო დამცველსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან.

ანგარიშში, ორგანიზაციის მიერ წარმოებული საქმეების საფუძველზე, გაანალიზებულია სახელმწიფოს მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერის ნიშნით ძალადობის ცალკეული ფორმების იდენტიფიცირებასა და რეაგირებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორიცაა ლგბტი ადამიანების მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების გამოძიება, ქალთა ან/და ლგბტი პირთა დისკრიმინაცია ან/და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფის ფაქტებზე რეაგირება, ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარება და სხვა საკითხები.

## 1. ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ქალთა მიმართ ძალადობას ამგვარად განმარტავს: "ნებისმიერი გენდერული ძალადობა, რომლის შედეგიც არის ქალთა ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის, ასეთი მოქმედების მუქარა, იძულება ან თავისუფლების უკანონო შეზღუდვა როგორც საჯაროდ, ისე კერძო სფეროში".<sup>2</sup>

ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში გენდერული უთანასწორობის პირდაპირი შედეგია. გენდერული უთანასწორობა ვლინდება ცხოვრების ყველა სფეროში, რაც იწყება ოჯახში ძალადობის ისეთი ფორმით, როგორიც ადრეულ ასაკში ქორწინება<sup>3</sup>

<sup>2</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/104 დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, 1993. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.lv/1iBwJDq

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშის "ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში" თანახმად, "საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია და შემთხვევების მართვა. სამწუხაროდ, გავრცელებულია როგორც ქორწინების იძულების, ასევე ნიშნობების პრაქტიკაც. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარატამენტის მიერ სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებული ლინისძიებებისმონიტორინგი ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, პრობლემატურია ისიც, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება საზოგადოებისათვის მიღებულ პრაქტიკად ითვლება". ხელმისაწვდომია ბმულზე; http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

ან ფემიციდი<sup>4</sup> და სრულდება ქალთა დაბალი მონაწილეობით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.<sup>5</sup>

სახელმწიფოს პოლიტიკა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის არაეფექტიანია და სათანადოდ არ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. საქართველოს კანონს გენდერული თანასწორობის შესახებ<sup>6</sup> არ გააჩნია აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ლგბტი ადამიანთა მიმართ ძალადობის პრობლემის ერთ ჭრილში გაანალიზება პრინციპულად მნიშვნელოვანია ქვეყანაში გენდერული ძალადობის დასაძლევად. ამის მხარდამჭერ ერთ-ერთ არგუმენტად შესაძლოა ძალადობის ფორმების მსგავსება და მოტივი გამოდგეს: "ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ძალადობაში, წარმოადგენს გენდერული ძალადობის ფორმას, რადგან განპირობებულია სურვილით, რომ დასაჯოს გენდერული ნორმიდან გადახვევა.<sup>7</sup>

<sup>4</sup> იქვე: "საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 2015 წელს ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 26 სისხლის სამართალის საქმეზე დაიწყო. აქედან, 14 შემთხვევა ოჯახში ძალა- დობის პირობებში იქნა ჩადენილი, ხოლო 12 შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის სხვა მოტივი გამოიკვეთა. ასევე, ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების ორ შემთხვევას გარდაცვალება მოჰყვა. შესაბამისად, 2015 წელს ქალთა მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის 28 შემთხვევა გამოვლინდა".

<sup>5</sup> იქვე: "ქალები აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ, თუმცა ხელმძღვანელ პოზიციებზე მათი წარმომადგენლობა შესამჩნევად დაბალია".

<sup>6</sup> ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624

<sup>7</sup> დისკრიმინაციული კანონები, პრაქტიკა და ძალადობრივი ქმედებები ინდივიდის წინააღმდეგ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში. 17.11.2011. A/HRC/19/41. პარაგრაფი 20. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www. un.org/Docs/journal/asp/ws.asp?m=A/HRC/19/41

გენდერის დეფინიცია საქართველოს კანონმდებლობაში ბიოლო-გიურ სქესზეა დაყვანილი. შესაბამისად, გენდერულ თანასწორო-ბას კანონი ამგვარად განმარტავს: "ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში".<sup>8</sup> ამგვარად, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც თანასწორობის პოლიტიკის მიღმა რჩებიან გენდერულად არაკონფორმული ადამიანები, რადგან კანონი არ ფარავს მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი ლგბტი ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს თავის ყოველწლიურ ანგარიშში<sup>9</sup> "ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის" თავში აერთიანებს.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გან-ხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში 2014-2016 წლებში ცალკეული უწყებების მიერ შესასრულებელი სხვადასხვა ღონისძიებებია გაწერილი, მაგრამ ინდიკატორები იმდენად ზოგადი და ბუნდოვანია, რომ რთულია მისი ეფექტურობის შეფასება.

ლგბტი საკითხების მეინსტრიმინგი გენდერული თანასწორობის კონტექსტში და ამ საკითხების ექსპლიციტურად მოხსენიება ქვეყ-ნის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს მიდგომა ხელს უწყობს მათ სპეციალურ

<sup>8</sup> საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ", მუხლი 3. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624

<sup>9</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშები "ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში" შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.ombudsman.ge/ge/reports/ saparlamento-angarishebi

საჭიროებებზე ყურადღების გამახვილებას. ევროპის საბჭოს მიერ მომზადებულ კომპენდიუმში<sup>10</sup> თავმოყრილია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ლგბტი ადამიანთა საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის დოკუმენტების შექმნისა და იმპლემენტაციის გამოცდილება. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ლგბტი ადამიანებთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები ცალკე სამოქმედო გეგმაში იყრის თავს ან ჩართულია გენდერული თანასწორობის მიღწევის სამოქმედო გეგმებში. სხვა ქვეყნებში ამ საკითხების მეინსტრიმინგი ხდება უკვე არსებულ სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ აქტებში.

## 2. ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲥᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ძალადობის საკითხებზე ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც რელიგიური, ისე სოციალური და კულტურული ასპექტები. ასევე, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია საბჭოთა გამოცდილების გავლენაც.

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგე-ბის შესახებ სპეციალური მომხსენებლის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია: "მიუხედავად მთავრობის, გაეროს სააგენტოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევისა, განსაკუთრებით ცნობიერების ამაღლების კუთხით, გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები კვლავ ღრმად ფესვ-გადგმული და გავრცელებულია საზოგადოებაში, რაც არღვევს

<sup>10</sup> COMPENDIUM OF GOOD PRACTICES ON LOCAL AND REGIONAL LEVEL POLICIES TO COMBAT DISCRIMINATION ON THE GROUNDS OF SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY. ევროპის საბჭო. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2alCSY6

თანასწორობის იდეას და ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობის შენარჩუნებას."<sup>11</sup>

ბოლო წლებში, საქართველოში არსებული დომინანტი რელიგიური ორგანიზაციის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ხდება ქალის, როგორც "მეორეხარისხოვანი" ადამიანის წარმოჩენა და საზოგადოებაში მისი როლის დაკნინება. სხვადასხვა წლებში პატრიარქის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ღიად იკითხება მიზოგინიური განწყობები. 12 საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ ეკლესიის მრევლია და შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქადაგებაში გამოთქმულ განცხადებებს, შესაბამისად ის კონსერვატორული შეხედულებები და გენდერული სტერეოტიპები, რომლებსაც ეკლესია ავრცელებს და აძლიერებს, პირდაპირ აისახება ქალთა დაქვემდებარებულ როლზე საზოგადოებაში.

ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერის ნიშნით ძალადობის ერთგვარი "ხელშემწყობი" გარემოებაა პოლიტიკოსების მიერ ამ ტიპის ძალადობის ფორმების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება მჟღავნდება როგორც სექსისტურ გამონათქვამებში,<sup>13</sup> ისე მათ გადაწყვეტილებებში, მაგალითად 2016 წელს ფემიციდის შესახებ კანონპროექტს საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.<sup>14</sup>

<sup>11</sup> ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf

<sup>12</sup> სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლეები და ქადაგებები ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.orthodoxy.ge/patriargi/sarchevi.htm

<sup>13 &</sup>quot;ფემიციდის შესახებ კანონპროექტის მოწინააღმდეგეების არგუმენტები". ნეტგაზეთი. 06.06.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://netgazeti.ge/news/121171/

<sup>14 &</sup>quot;ფემიციდის შესახებ კანონპროექტს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა". ლიბერალი. 10.06.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://liberali.ge/news/view/23174/ femitsidis-shesakheb-kanonproegts-parlamentma-mkhari-ar-dauchira

გარდა ეკლესიისა და პოლიტიკოსებისა, მედიასაც გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდე-რული ნიშნით ძალადობის წახალისებაში, რადგან ქართული მედია საშუალებების მიერ ხშირად ხდება ქალის ობიექტივაცია და ეგზოტიზაცია. ამგვარი მოპყრობის მსხვერპლნი ხშირად ტრანსგენდერი ქალებიც ხდებიან.

მიზოგინიური, ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების პროცესში მნიშვნელოვანი ფორმირების ადგილი ანტი-ლგბტი გამოსვლებს, რომლებიც 2007 წლიდან მედიაორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და ცალკეული რელიგიური პირებისა თუ ინსტიტუციების წაქეზებით იწყება. "საქართველოში ანტიგეი გამოსვლებს უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე მხარდასაჭერად გამართულ ლგბ<sub>(</sub>გი პირების უფლებების მსვლელობებს".¹⁵ 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად შეკრებილ ადამიანის უფლებების დამ(კველებსა და ლგბტი ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან აქციას მართავდნენ, თავს დაესხნენ ჰომოფობიურად და ტრანსფობიურად განწყობილი კონტრდემონსტრანტები და არ მისცეს აქციის გამართვის საშუალება.¹6 იგივე სცენარი განმეორდა 2013 წელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კონტრდემონსტრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას და აშკარა საფრთხე შეექმნა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ვერცერთ შემთხვევაში სახელმწიფომ ვერ შეძლო შეესრულებინა პოზიტიური ვალდებულება და დაეცვა აქციის მონაწილეები მესამე მხრის ძალადობისაგან.

<sup>15</sup> ე. აღდგომელაშვილი. "ბრძოლა საჯარო სივრცისთვის". სტატიების კრებული "ანტიგენდერული მოძრაობის აღმასვლა – ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში". ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. თბილისი. 2016.

<sup>16</sup> იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 12.05.2015. საჩივარი №73235/12.

დღემდე, წინასაარჩევნო პერიოდში ცალკეული პოლიტიკოსებისათვის მიზოგინური და ანტი-ლგბტი განცხადებები ელექტორატის მიმხრობის ერთგვარ საშუალებად რჩება. ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენა, ერთგვარ ფონად გასდევდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებსაც. დღეს უკვე გამარჯვებული პარტიის ლიდერები, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ამომრჩეველს მათთვის ხმის მიცემისაკენ მოუწოდებდნენ და სანაცვლოდ, გამარჯვების შემთხვევაში, ლგბტი ადამიანთა ქორწინების თანასწორობის უფლების შეზღუდვას ჰპირდებოდნენ.<sup>17</sup>

სიძულვილის ენა გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებულ განწყობებზე, რაც თავის მხრივ აისახება ძალადობასა და დის-კრიმინაციაში, რასაც ჯგუფის წევრები განიცდიან. სხვადასხვა წლებში ჩატარებული მედია-კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოში ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები და მედია-ორგანიზაციების წარმომადგენლები იყენებენ. განსაკუთ-რებული საფრთხის შემცველია სიძულვილის ენის გამოყენება სატელევიზიო მედიაში, რადგან საზოგადოების უმეტესობისთვის, ლგბტი ადამიანებისა და სოგი-სთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ სატელევიზიო მედია წარმოადგენს.<sup>18</sup>

<sup>17 [</sup>გია] ვოლსკი: ახალი პარლამენტი კონსტიტუციაში ქორწინების ჩანაწერის დაზუსტებაზე იმსჯელებს. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gCVpn5; [გიორგი]კვირიკაშვილი: არჩევნების შემდეგ ქორწინების თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებას 'აუცილებლად განვახორციელებთ'. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.civil.ge/geo/article.php?id=30563

<sup>18</sup> ე. აღდგომელაშვილი. "წინასწარგანყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ პირთა და მათი უფლებრივი მდგომარეობის მიმართ საქართველოში." WISG. თბილისი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gZuyij

## 3. ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით<sup>19</sup>, 2016 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 137-141 მუხლებით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შედეგად, თუ არასრულწლოვნებს არ ჩავთვლით, 176 ადამიანია დაზარალებული. კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლები ფარავს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ისეთ ფორმებს, როგორიცაა გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება და გარყვნილი ქმედება.<sup>20</sup>

ცალკეულ კვლევებზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოში სექსუალური ძალადობის შემთხვევათა უმრავლესობა სახელმწიფოსთვის უხილავი რჩება. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ "თუ ქალი მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია, რესპონდენტებისათვის ყველაზე მეტად მისაღებია მსხვერპლის მიერ დახმარების ძიება ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან (76.20%), შემდეგ ეკლესიაში (73.7%), ადვოკატთან (65.3%), პოლიციასთან (62.8%) და სხვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებთან (53.3%)". ამას ემატება საზოგადოებაში არსებული სტიგმა და სტერეოტიპული წარმოდგენები როგორც გენდერულ როლებთან, ისე ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით. "ქალები, რომლებიც მოძალადე ქმრებთან აგრძელებენ ცხოვრებას, პატივისცემას არ იმსახურებენ. ისინი სავარაუდოდ

<sup>19</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2016 წლის სტატისტიკა თვეების მიხედვით. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2fWWUJa 20 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლები 137-141. ხელმისაწვდომია ბულზე: http://bit.ly/2fT6Qlk

მაზოხისტები არიან (დისკუსიის მონაწილე ქალი თბილისში)".<sup>21</sup> გარდა ამისა, ერთ-ერთი კვლევის შედეგების თანახმად, "ოჯახის შერცხვენის შიში პოლიციისათვის არ მიმართვის მიზეზად მიაჩნიათ თბილისელთა 84.2%, სამეგრელო-ზემო სვანეთის მაცხოვრებელთა 82.2%-ს და კახეთის მოსახლეობის 77.5%-ს".<sup>22</sup>

შესაბამისი კანონის არსებობის მიუხედავად, ხშირად საზოგადოების მიერ ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ისეთი უკიდურესი ფორმებიც კი როგორიც გაუპატიურებაა, დანაშაულად არ აღიქმება. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით ამყარებს 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები: "სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში რესპონდენტთა დამოკიდებულება არ გამოირჩევა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ემპათიით: გამოკითხული კაცების 36% და ქალების 31% ეთანხმება მოსაზრებას: "ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი გაუფრთხილებლობით თავად იგდებენ საკუთარ თავს ამ სიტუაციაში". კაცების 34.8% და ქალების 23% მიიჩნევს, რომ ზოგ შემთხვევაში ქალებს სურთ, რომ ისინი გააუპატიურონ. ასევე, კაცების 53% და ქალების 45% თვლის, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევდა კაცს, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას. გარდა ამისა, გამოკითხული კაცების 39% და ქალების 36% მიიჩნევს, რომ ისეთ ქალებს აუპატიურებენ, რომლებსაც ცუდი რეპუტაცია აქვთ".<sup>23</sup> 2013 წელს ჩატარებულ კვლევაში "საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში", გამოკითხულ რესპოდენტთა 22% მიიჩნევს, რომ ქალია ვალდებული სურვილის არქონის შემთხვევაში დაამყაროს მეუღლესთან სექსუალური კავშირი.<sup>24</sup>

<sup>21</sup> ნ. სუმბაძე, "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში." UN Women. თბილისი. 2014.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23 &</sup>quot;კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში". UNFPA. თბილისი. 2014.

<sup>24 &</sup>quot;საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში". UNDP. თბილისი. 2013. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/1mYrAuL

დღესდღეობით, ქვეყანაში არ ხორციელდება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენცია, რაც "ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის (სტამბოლის კონვენცია)<sup>25</sup> ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა. ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ძალადობის პრევენცია მიიჩნევა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული კვლევის რესპოდენტთა 93.6% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობასთან და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.<sup>26</sup>

პრევენციული ლონისძიებების გატარების აუცილებლობასთან ერთად, სტამბოლის კონვენცია მსხვერპლთა დაცვისა და დახმა-რებისათვის სახელმწიფოებს მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების გატარებისაკენ მოუწოდებს. კონვენციას საქართველო 2014 წლის 20 ივლისს შეუერთდა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა სპეციალური სარატიფიკაციო პაკეტი, რომელიც ცვლილების შეტანას ითვალისწინებს მრავალ საკანონმდებლო აქტში.<sup>27</sup>

25 ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/1RGnVMA

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სი, საქართველოს კანონი "პატიმრობის კოდექსი", საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ", საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ", საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ", საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ", საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ", საქართველოს კანონი "ბაციენტის უფლებების შესახებ", საქართველოს კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ", საქართველოს კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ", საქართველოს შრომის კოდექ-სი", საქართველოს კანონი "უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართფების მდგომარეობის შესახებ", საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", საქართველოს განათლების შესახებ".

საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა კვლევა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გავრცელების, მისი ცალკეული ფორმებისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ, რაც ამ ტიპის დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელი კომპონენტია.

#### საქმე №27-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ს. ზ. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალი.

ს. ზ. გახდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის და ასევე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლი. სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დასტურდება, რომ მის მიმართ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე, 137-ე და 138-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს ძარცვას, გაუპატიურებას და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას. დამნაშავეს სასჯელის მაქსიმუმი 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ეს საქმე ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან იგი დამნაშავეთა დასჯით დასრულდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად იმის დასახელეპაც შეიძლეპა, რომ დაზარალეპულის ინტერესეპს გამოძიეპასა და სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კერძოდ, WISG-ის იურისტი იცავდა.

## 4. ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების მიმართ ძალადობის ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელია სექსუ-ალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციის სრული სურათის დანახვა. ამ ტიპის ძალადობის შესახებ მხოლოდ სათემო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შეგროვებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

2012 წელს "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ ლგბტ ჯგუფში ჩატარებულმა დისკრიმინაციის კვლევამ,<sup>28</sup> რომლის ფარგლებშიც 150 რესპოდენტი გამოიკითხა, აჩვენა, რომ გამოკითხულთა 32%-ს ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, 89,93%-ს კი ფსიქოლოგიური ძალადობა. საშუალოდ 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური ძალადობა განუცდია, 73.13%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 13.43%-ს ორჯერ, ხოლო 13.43%-ს – ერთხელ. ამავე კვლევის თანახმად, "ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები აღმოჩნდა ცემა, სექსუალური ზეწოლა და სექსუალური ძალადობა," ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა ფორმიდან ყველაზე გავრ(კელებული აღმოჩნდა: დამამ(კირებელი კომენტარები და დაცაინვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჭორების გავრცელება მათ შესახებ, მუქარა, სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებები და შანტაჟი. "მსხვერპლნი ხშირად თავს იკავებენ ამგვარ შემთხვევათა შეტყობინებისგან საქართველოში ძლიერი ჰომო/ტრანსფობიური კლიმატის გამო, ან იმ მიზეზით, რომ ეშინიათ სექსუალური ორიენტაციისა თუ გენ-

<sup>28 &</sup>quot;ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი. 2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2h0KEZj

დერული იდენტობის გამჟღავნებისა, რასაც შედეგად სამაგიეროს გადახდა, ნაკლები მხარდაჭერა მოსდევს."<sup>29</sup>

2014 წელს, WISG-ის მიერ იმავე მეთოდოლოგიით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2012 წელთან შედარებით იკლო რესპოდენტთა რაოდენობამ ვინც ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ საუბრობენ (გამოკითხულთა 20%-ს აქვს ფიზიკური, ხოლო 68%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება). ამასთან, იმატა იმ ადამიანთა რაოდენობამ, რომლებიც 3-ჯერ ან მეტჯერ გამხდარან ძალადობის მსხვერპლი. მათ შორის, ვინც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა, მხოლოდ 30%-მა მიმართა პოლიციას, ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე კი დაზარალებულთა მხოლოდ 4,4% მოიქცა ასე.

ნინა წლებთან შედარებით, იმატა ძალადობამ ლბ ქალების ჯგუფის მიმართ. ფიზიკური ძალადობის გამოცდილების სიხშირის მიხედვით, ლბ ჯგუფის წარმომადგენელთა რაოდენობა, ვინც სამჯერ ან მეტჯერ გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, ბევრად აღემატება გბ ჯგუფში იგივე გამოცდილების მქონე მამაკაცების რაოდენობას (შესაბამისად, 36% ლბ ქალებისათვის და 22% გბ ჯგუფისათვის). რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალები უფრო მოწყვლადები არიან ფიზიკური ძალადობის ციკლის მიმართ.

ფიზიკური ძალადობის მსხვერპლთა 50% არ იცნობს/იცნობდა თავდამსხმელს. 20%-მა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრების მხრიდან გახდნენ ძალადობის მსხვერპლი. დანარჩენი 30% გადანაწილდა პარტნიორზე, მეგობრის პარტნიორზე, პოლიციელზე, თანამშ-რომელზე და სხვ. შესაბამისად არის გადანაწილებული თავდასხმის ადგილებიც — პირველ ადგილზეა საჯარო ადგილები, როგო-

<sup>29</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ, 01.03.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2dWQQTT

რიცაა ქუჩა, პარკი, ბაღი – 60% და სახლი – 30%. ყველა მათგანს, ვინც თავდასხმის ადგილად სახლს ასახელებს, ფიზიკური ძალადობის გამოცდილება სამჯერ ან მეტჯერ აქვს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ადამიანები პერმანენტული ძალადობის ქვეშიმყოფებიან ოჯახის წევრების მხრიდან.<sup>30</sup>

#### 4.1. ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ლგბტი თემის წევრთა დისკრიმინაციის ყველაზე უკიდურესი ფორმა ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტი-ვირებული დანაშაულია. ამ ტიპის დანაშაულთან ბრძოლისათ-ვის ევროპის საბჭო მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ უზრუნ-ველყონ "ეფექტიანი, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება" და "სასჯელის განსაზღვრისას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც დამამძიმებელი გარემოება". 31 საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2016 წლის ანგარიშში 32 აღნიშნავს: "როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკიდან ირკვევა, ძირითად შემთხვევებში, გამოძიების პროცესში სავარაუდო სიძულ-ვილის მოტივის გათვალისწინება არ ხდება, რის შედეგადაც, მათ შორის, უგულებელყოფილია დანაშაულის პრევენციის მიზანი".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, სხვა საფუძველზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული და-

<sup>30</sup> ე. აღდგომელაშვილი. "ლგბ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში". ტექნიკური ანგარიში. WISG. თბილისი. 2015.

<sup>31</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს "სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ". 2010. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.coe.int/en/web/sogi/rec-2010-5

<sup>32 &</sup>quot;დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ". საქართველოს სახალხო დამცველი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gaP4vl

ნაშაულისგან განსხვავებით, არ ხდება ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის სტატისტიკის წარმოება. სამინისტროს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ცალკეული სტატისტიკური მონაცემები დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.<sup>33</sup> დოკუმენტი იძლევა ზოგად სურათს 2010-2015 წლებში სხვადასხვა ნიშნით სიძულვილისა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ, მაგრამ არა ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე. სავარაუდოდ ამ ტიპის დანაშაულები კატეგორია "უცნობში" ერთიანდება, რაც 19-ს შეადგენს.

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) თავის მოხსენებაში საქართველოს შესახებ<sup>34</sup> აღნიშნავს: "ბოლო წლებში საქართველოში იმატა ჰომო/ტრანსფობიურ თავდასხმათა რაოდენობამ. მომხდარა არაერთი შემთხვევა, დაწყებული ინდივიდებზე თავდასხმებით საჯარო ადგილებში – და ზოგჯერ მათ სახლებშიც კი – დამთავრებული ლგბტ ღონისძიებებზე ძალადობის გამოვლენით და არასამთავრობო ორგანიზაციათა დაშინებით."

"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) წარმოებაში 30-ზე მეტი საქმეა, რომელიც სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და ინციდენტის ნიშნებს შეიცავს. დაზარალებულები აცხადებენ, რომ ჰომოფობიის და ტრანსფო-

<sup>33</sup> მონაცემები სსკ 109-IIდ. 117-Vდ. 126-IIზ. 142, 142¹, 142², 144¹-IIვ. 144³- IIვ. 155, 156, 166, 258-IIIბ. 407, 408 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და დაზარალებული პირების შესახებ. შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დე-პარტამენტის საინფორმაციო ცენტრი. 2010-2015 წლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2h64XW1

<sup>34</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ, 01.03.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2dWQQTT

ბიის ნიადაგზე დაზარალდნენ, მაგრამ სიძულვილის მოტივი მათ საქმეებში არ ჩანს და არც ბრალის დამძიმებისა და სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინება. დაზარალებულთა უმრავლესობა ტრანსგენდერი ქალია.

#### საქმე №51-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. შ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 14 ოქტომბერს, ტრანსგენდერ ქალს ზ. შ.-ს, თბილი-სის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარე შენობის ეზოში, ურთიერთ-შელაპარაკების ნიადაგზე, თავს დაესხა მამაკაცი, რომელმაც ბლაგვი საგნით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა სახისა და ყელის არეში. დაზარალებული 40-დღიანი კომის შემდეგ, 2016 წლის 22 ნოემბერს, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

თავდამსხმელი პოლიციამ რამდენიმე დღის შემდეგ დააკავა. მის მიერ პოლიციისთვის მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, რომ საპატიმროდან იცნობდა მოკლულ ქალს და მკვლელობის დღეს მასთან დასალაპარაკებლად მივიდა. შეხვედრისას ბრალდებული გ. იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და ზ. შ.-სთან ურთიერთ-შელაპარაკების ნიადაგ ზე იმდენად გაღიზიანდა, რომ "აიღო იქვე მდებარე ბეტონის ფილა და სახის არეში დაარყა დაზარალებულს, შემდეგ საყოფაცხოვრებო დანით ყელში მიაყენა დაზიანებები... მოკვლის განზრახვით სახის არეში გადაამტვრია ბეტონის ფილა. დაზარალებული გაითიშა და ბრალდებულმა ჩათვალა, რომ დაზარალებული გარდაცვლილი იყო."

გ. მ.-ს ბრალი განზრახ მკვლელობაში აქვს წარდგენილი (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით). რამდენადაც WISG-ის იურისტისთვის, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლის (დედის) ინტერესების დამცველისთვის ცნობილია, საქმეში არ გამოკვლეულა ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი და შესაბამისად, არ მომხდარა მისი დამამძიმებელ გარემოებად მითითება. ბრალდებულ დანაშაულს აღიარებს, მაგრამ საქმე სასამართლოს ამ დრომდე არ განუხილავს.

## საქმე **№56-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. ბ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 7 ივლისს, ტრანსგენდერ ქალს ზ. ბ.-ს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, გვიან ღამით, თავს დაესხა მისთვის უცნობი მამაკაცი. დაზარალებულს მიაჩნია, რომ დამნაშავის მოქმედებები განპირობებული იყო ტრანსფობიური სიძულვილით. ინციდენტის შედეგად, ქალმა სხეულის მრავლობითი დაზიანება მიიღო, კერძოდ ჩამტვრეული ჰქონდა კბილები, დახეთქილი ტუჩები და გრძნობდა გაუსაძლის ტკივილს მუცლის არეში.

ზ. ბ.-მ გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პოლიცია, მაგრამ პოლიციამ ვერ შეძლო თავდამსხმელის დაკავება. ჰოსპიტალიზაციის შემდგომ, ზ. ბ.-მ, შიშობდა, რომ მის მიმართ ძალადობა განმეორდებოდა, დაუყოვნებლივ დატოვა თბილისი და მხოლოდ 2 თვის შემდეგ დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა ერთ-ერთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დამონტაჟებული კამერების ჩანაწერში ამოიცნო თავდამსხმელი, მისი დაკავება ამ დრომდე ვერ მოხერხდა და გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

#### საქმე №11-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ჯ. ბ. გეი მამაკაცი.

2017 წლის 23 აპრილს, დღის დაახლოებით 15:00 საათზე, თბილისში ერთ-ერთ ავტობუსის გაჩერებაზე, ჯ. ბ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი ორი მამაკაცი. თავდამსხმელებმა ჯ. ბ.-ს სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. და ზარალებულის განმარტებით, მის მიმართ დანაშაულის ჩადენა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საყურე ეკეთა და იგი თავდამსხმელებმა ჰომოსექსუალად აღიქვეს.

ჯ. ბ.-მ პოლიცია გამოიძახა და თავდამსხმელები დააკავეს. გა-მოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო 1000 ლარის ოდენობით. რამდენადაც WISG-ის იურისტისთვის, როგორც დაზარალებულის ინტერესების დამცველისთვის ცნობილია, საქმეში არ გამოკვლეულა ჰომოფობიური სიძულვილის მოტივი და შესაბამისად, არ მომხდარა მისი დამამძიმებელ გარემოებად მითიება.

## საქმე **№32-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია გ. ზ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 23 ივნისს თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტრანსგენდერ ქალს გ. ზ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი მამაკაცი, რომელმაც ხის ჯოხზე მიმაგრებული ლურსმნით, ჭრილობა მიაყენა მარჯვენა ხელის არეში. თავდამსხმელი იყენებდა ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენას და სწორედ ამიტომ დაზარალებულს მიაჩნია, რომ მისი მოქმედებები მოტივირებული იყო ტრანსფობიური შეუწყნარებლობით.

გ %.-მ გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პოლიცია. საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს.

რამდენადაც WISG-ის იურისტისთვის, როგორც დაზარალებუ-ლის ინტერესების დამცველისთვის ცნობილია, საქმეში არ გა-მოკვლეულა ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი და შესაბამი-სად, არ მომხდარა მისი დამამძიმებელ გარემოებად მითითება. გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

#### საქმე №38-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ა. ო. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 7 ივნისს, ტრანსგენდერმა ქალმა ა. ო.-მ თბილისში მდებარე კაფე-ბარში გაიცნო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც სასმელზე დაპატიჟა. მოგვიანებით, კაფეში მყოფი სხვა სტუმრე-ბისგან მამაკაცმა შეიტყო, რომ ა. ო. ტრანსგენდერი ქალი იყო და ამის შესახებ ჰკითხა კიდეც. ა. ო.-მ დაუდასტურა, რომ ტრანსგენდერი ქალია, რის შემდეგაც მამაკაცმა ქალს თავში ჩაარტყა ბოთლი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. კაფეში მსხდომმა პირებმა გამოძახეს სასწრაფო დახმარება და პოლიცია. შემთხვევის შედეგად, ა. ო.-ს ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად დაუზიანდა და დასჭირდა რამდენიმე ნაკერის დადება თავის არეში. საქ-მე ალიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას ითვალისწინებს.

დაზარალებულმა პოლიციას განუმარტა, რომ თავდასხმა განა-პირობა ტრანსფობიურმა შეუწყნარებლობამ და სიძულვილმა, მაგრამ რამდენადაც WISG-ის იურისტისთვის, როგორც დაზარალებულის ინტერესების დამცველისთვის ცნობილია, საქმეში არ გამოკვლეულა ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი და შესაბა-მისად, არ მომხდარა მისი დამამძიმებელ გარემოებად მითითება.

## საქმე **№59-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ვ. ტ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 25 ნოემბერს, თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტრანსგენდერ ქალს ვ. ტ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი ორი მამაკაცი. დაზარალებულს მიაჩნია, რომ თავდამსხმელთა მოქმედებები განპირობებული იყო ტრანსფობიური სიძულვილით, რადგან ისინი იყენებდნენ ტრანსფობიურ სიძულვილის ენას. ინციდენტის შედეგად, ქალმა სხეულის მრავლობითი დაზიანება მიილო, კერძოდ სხეულის სხვადასხვა ადგილას ჰქონდა სილურჯეები და დაუზიანდა ცხვირი.

ვ. ტ.-მ გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პოლიცია. საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს. დაზარალებულმა და მოწმეებმა ამოიცნეს თავდამსხმელები, მაგრამ მათი დაკავება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

რამდენადაც WISG-ის იურისტისთვის, როგორც დაზარალებუ-ლის ინტერესების დამცველისთვის ცნობილია, საქმეში არ გა-მოკვლეულა ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი და შესაბამი-სად, არ მომხდარა მისი დამამძიმებელ გარემოებად მითითება. გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

## საქმე №60-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. ბ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 26 ნოემბერს, თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტრანსგენდერ ქალს ზ. ბ.-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი მამაკაცი. დაზარალებულს მიაჩნია, რომ თავდამსხმა განპირობებული იყო ტრან-სფობიური სიძულვილით, რადგან თავდამსხმელები იყენებდნენ ტრანსფობიურ სიძულვილის ენას და ფიქრობს, რომ ინციდენტი უკავშირდება წინა დღით მომხდარ, სხვა ტრანსგენდერი ქალის ცემის შემთხვევას, რადგან თავდამსხმელმა რამდენჯერმე ახსენა, რომ "რაც გუშინ მის მეგობარს დააკლო, მას დაუმატებდა."

ინციდენტის შედეგად, ქალმა სხეულის დაზიანება მიიღო და გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პოლიცია. საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს. თავდამსხმელის დაკავება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

რამდენადაც WISG-ის იურისტისთვის, როგორც დაზარალებულის ინტერესების დამცველისთვის ცნობილია, საქმეში არ გამოკვლეულა ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი და შესაბამისად, არ მომხდარა მისი დამამძიმებელ გარემოებად მითითება. გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

## 4. 2. ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

გარდა იმისა, რომ ლგბტი თემის წევრები ხშირად ხდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი, თემი ზოგადად მოწყვლადია ნებისმიერი ტიპის დანაშაულის მიმართ, რადგან მოძალადე ფიქრობს, რომ ის პოლიციას არ მიმართავს და საკუთარი უფლებების დაცვას არ მოისურვებს. 2016 წლის განმავლობაში WISG-ის მიერ ნაწარმოები იქნა ორი საქმე, რომელშიც დისკრიმინაციული მოტივი პირდაპირ და აშკარად არ იკვთებოდა, მაგრამ დაზარალებული მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დანაშაულის ჩადენა განაპირობა მოძალადის შეგრძნებამ, რომ ის ლგბტი თემის წევრია და პოლიციას არ მიმართავდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული დასკვნა მხოლოდ დაზარალებულთა სუბიექტურ შეხედულებას ემყარება და ისიც მხოლოდ ორ საქმეზე, შესაბამისად, ეს მონაცემები არ იძლევა ზოგადი ტენდენციის გამოკვეთის საშუალებას, მაგრამ ორგანიზაციის იურისტებს მიაჩნიათ, რომ მხედველობაშია მისაღები სამართალდამცავთა მიერ გამოძიების ეტაპზე.

#### საქმე **№5-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია დ. დ. გეი მამაკაცი.

2016 წლის 15 იანვარს, თბილისში დ. დ. მეზობლად მცხოვრებმა სამმა მამაკაცმა აიძულა, რომ აეღო სწრაფი სესხი 100 ლარის
ოდენობით და მათთვის სესხად მიეცა. დ. დ.-ს ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა
ერთიან ბაზაში და საარსებო შემწეობას იღებს ყოველთვიურად,
მაგრამ კომპანიამ მასზე სესხი მაინც გასცა.

დ. დ.-მ პოლიციას არ მიმართა იმის შიშით, რომ მოძალადეები მის მეზობლად ცხოვრობდნენ და მათგან მომდინარე ძალადო-ბის განმეორების ალბათობა ძალიან დიდი იყო. იგი ერთი თვის მანძილზე ელოდა თანხის დაბრუნებას და როდესაც საბოლოოს განუცხადეს უარი, დახმარებისთვის WISG-ს მიმართა.

WISG-ის მედიაციის შედეგად, დ. დ.-სა და კომპანიას შორის დავა აღარ წამოჭრილა.

## საქმე №08-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ი. გ. ლესბოსელი ქალი.

2016 წლის 13 მარტს ი. ტ.-ს თბილისში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში მისთვის უცნობმა მამაკაცმა მოპარა მობილური ტელეფონი და 100 ლარი. დაზარალებული ქურდობის ფაქტს მის სექსუალურ ორიენტაციას უკავშირებს, რადგან იხსენებს, რომ ხსენებულმა მამაკაცმა ჰკითხა "ლესბოსელი ხომ არ იყო". დანაშაულის შესახებ ი. ტ.-მ პოლიციას მიმართა. დაზარალებულმა პოლიციასთანაც განმარტა, რომ "მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დამნაშავემ იგი ლესბოსელად აღიქვა და ჩათვალა, რომ პოლიციას არ მიმართავდა."

2016 წლის ოქტომბერში ბრალდებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, დამნაშავედ იქნა ცნობილი ი. ტ.-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც ქურდობას გულისხმობს.

#### 

ლგბტ ადამიანები ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლნი ხდებიან — ქორწინების იძულება, სოციალური იზოლაცია, გარეგნობის შეცვლის იძულება და სხვა. ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება ნებაყოფლობით ან იძულებით "ქამინ აუთს" ოჯახის წევრებთან. "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ ჩატარებული კვლევების რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ოჯახის წევრთათვის მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ საუბარს თავს არიდებენ ძალადობის შიშით. ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში მდგომარეობა უფრო

მძიმდება, რადგან მათი გენდერული იდენტობის თვითაღქმისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასურველი ტანსაცმლისა და აქსესუარების ტარება. ამის გარდა ლგბტ თემის წევრთა მიმართ გავრცელებულია ოჯახის წევრის მხრიდან განგრძობადი ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც გამოიხატება დამცირებასა და შეურაცხყოფის მიყენებაში.

2012 წელს "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, "ოჯახში ძალადობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია რესპოდენტებისთვის. გამოკითხულთა 27%-მა განაცხადა, რომ მასზე სახლში ფსიქოლოგიური ძალადობა ხორციელდება (26 ქალი, 15 კაცი), ხოლო 7%-მა განაცხადა, რომ მათზე სახლში ფიზიკური ძალადობა ხორციელდება (5 კაცი, 6 ქალი). 5 ხშირად დაფარული რჩება ლგბტ თემის წევრთა მიმართ, ოჯახის წევრების მხრიდან ჩადენილი ფიზიკური ძალადობაც".

## საქმე №28-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ა. დ. ლესბოსელი ქალი.

2016 წლის 11 ივნისს, ა. დ.-ს მეგობარი დაუკავშირდა ორგანიზაციას და უამბო მისი მეგობრის მიმართ ოჯახის წევრების მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ა. დ-ს დედა სისტემატიურად ავიწროებდა შვილს და აყენებდა როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ შეურაცხყოფას. იმავე დღეს, ა. დ.-მ მიმართა პოლიციას. მისივე განმარტებით, სხეულზე ეტყობოდა ძალადობის კვალი. პოლიციამ გამოკითხვის

<sup>35 &</sup>quot;ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი. 2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women.ge/data/docs/publications/WISG\_situ ation-of-lgbt-persons-in-Georgia\_GEO-www.pdf

მიზნით, დაიბარა ა. დ.-ს მშობლები და დედის მიმართ გამოსცა შემაკავებელი ორდერი, რომელიც მეორე დღეს სასამართლოს მიერ დამტკიცდა 1 თვის ვადით.

მიუხედავად WISG-ის იურისტების რჩევისა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სერვისით ესარგებლა, ა. დ.-მ
უარი განაცხადა და არჩია მეგობართან ერთად ცხოვრება. მისი და
მისი მეგობრების განმარტებით, ა. დ.-ს 2016 წლის 17 ივნისს მამამ მიაკითხა და იგი ოჯახში დაბრუნდა. ამის შემდეგ მამამ დაინყო ძალადობა ა. დ.-ს მეგობრების მიმართ, რაც გამოიხატებოდა
მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში. იგი შეხვდა რამდენიმე მეგობრის ოჯახის წევრებს და უამბო მათი სექსუალური
ორიენტაციის შესახებ. 2016 წლის 19 ივნისს WISG-ს ა. დ.-ს მეგობრებმა აცნობეს, რომ მას ისევ საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ
ა. დ.-მ ორგანიზაციის იურისტთან გასაუბრების დროს განმარტა,
რომ თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და სახლში დაბრუნების შემდეგ
მის მიმართ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

ა. დ. მიიჩნევდა, რომ ოჯახის წევრების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ძალადობა განპირობებული იყო მისი სექსუალური ორიენტაციის მიმართ შეუწყნარებლობით.

## საქმე **№22-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ა. ო. გეი მამაკაცი.

2016 წლის 18 მაისს, ა. ო. სოციალური ქსელის (FACEBOOK) საშუალებით, დაუკავშირდა ორგანიზაციას და უამბო მისი ძმის მხრიდან განხორცილებული ძალადობის შესახებ. ა. ო.-ს განმარტებით, ძმა (ყოფილი მსჯავრდებული) საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ ავიწროებს, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად

ძალადობს მასზე და აიძულებს, რომ პერიოდულად, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, გარკვეული დრო გაატაროს მართლმა-დიდებლურ მონასტრებში.

მიუხედავად WISG-ის იურისტების რჩევისა, რომ თავის დასაცავად შესაბამისი უწყებებისთვის მიემართა, დაზარალებულმა საბოლოოდ უარი თქვა ძმის ნების წინააღმდეგ წასვლაზე და საერთოდ გაწყვიტა კავშირი ორგანიზაციასთან.

5. ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲡᲐᲰᲐᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ

2014 წელს WISG-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ლგბტ ადამიანთა მიმართ საზოგადოებრივი თავშეყრის ად-გილებში სიძულვილის ენის გამოყენება და ბილწსიტყვაობა ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა.<sup>36</sup>

2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ღონისძიებად გაწერილი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.<sup>37</sup> კანონპროექტი ახდენს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების კრიმინალიზაციას, კერძოდ კოდექსის 340-ე მუხლის თანახმად, "საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება, რაც ...

<sup>36 &</sup>quot;ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი. 2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women.ge/data/docs/publications/WISG\_situ ation-of-lgbt-persons-in-Georgia\_GEO-www.pdf

<sup>37 2016-2017</sup> წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის განკარგულება №1138. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 1.1.3. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211

იწვევს ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას (მათ შორის — სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივი უხამსი გაშიშვლება, ...) ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და სანქციის სახით ითვალისწინებს ფულად ჯარიმას. მნიშვნელოვანია, რომ ამ და სხვა ტიპის
სექსუალური ხასიათის ძალადობრივ ქმედებებზე როგორც საჯარო სივრცეში, ისე ოჯახში სახელმწიფოს ჰქონდეს რეაგირება და
დროულად აღკვეთოს ისინი. იმის გარდა, რომ აღნიშნული ქმედებები მსხვერპლში იწვევს ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დამძიმებას, რაც გამოწვეულია შიშისა და სირცხვილის გრძნობით,
მწუხარებით და ამიტომ აუცილებელია მისი აღკვეთა, ამ ტიპის
სამართალდარღვევებზე რეაგირება ახდენს ძალადობის უფრო
მძიმე ფორმების პრევენციას.

WISG-ის პრაქტიკაში არსებული საქმეებიდან გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ლგბტი ადამიანების საჯარო სივრცეში სექ-სუალური შევიწროება, რეაგირების გარეშე რჩება პოლიციის მხრიდან. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიცია რეაგირების ნაც-ვლად განმცხადებელს აკავებს. "ხშირად, ლგბტ ადამიანები მხოლოდ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ხდებიან უკანონო დაკავების მსხვერპლნი."<sup>38</sup>

ამგვარი მოპყრობის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან ტრანსგენდერი ქალები. მათი განმარტებით, პოლიცია მათ მიმართ განხორ-ციელებულ ძალადობაზე არ ახდენს რეაგირებას, ხოლო როდესაც მის უმოქმედობას აპროტესტებენ, პოლიცია წვრილმანი ხულიგნობის ან კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით, მათ აკავებს. შედეგად ისინი უკანონო დაკავების მსხვერპლნი ხდებიან.

<sup>38 &</sup>quot;სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი'. International commission of jurists. 2009.

საერთაშორისო სამართალი აღიარებს ადამიანის უფლებას თავისუფლებაზე და კრძალავს თავისუფლების უკანონო და თვითნებურ აღკვეთას. "იმისათვის, რომ უკანონო და თვითნებური დაკავება თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან. "<sup>39</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი<sup>40</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1984 წელს მიღებული მოძველებული კანონია, რომლის ცვლილებაც უკვე დღის წესრიგში დგას, მაგრამ მანამ ახალი კოდექსი შევა ძალაში, აუცილებელია, რომ პოლიციამ გამოიყენოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და უზრუნველყოს, რომ "არავის შეეზღუდოს თვითნებურად თავისუფლება."<sup>41</sup> ნებისმიერი დაკავება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებს.<sup>42</sup>

"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) წარმოებაში რამდენიმე ძალადობის საქმეა, რომელთა მსხვერპლებიც აცხადებენ, რომ ჰომოფობიის და ტრანსფობიის ნიადაგზე გახდნენ პოლიციის მხრიდან უკანონო დაკავების მსხვერპლნი.

<sup>39 &</sup>quot;სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი'. International commission of jurists. 2009.

<sup>40</sup> საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hiKzU8

<sup>41</sup> ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ. №26772/95, 6.04.2000

<sup>42</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346

#### საქმე №41/42/43-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია სამი გრანსგენდერი ქალი თ. მ, გ. უ. და ჯ. მ.

2016 წლის 13 ივლისს, თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციამ დააკავა სამი ტრანსგენდერი ქალი თ. მ, გ. უ. და ჯ. მ. პოლიციის მიერ მათ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტზე.

ტრანსგენდერი ქალების ინტერესებს სასამართლოში WISG-ის იურისტი იცავდა. ადვოკატთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ არ ეთანხმებოდნენ პოლიციის მიერ წარმოდგენილ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში აღწერილ გარემოებებს და განმარტავდნენ, რომ იქ ჩამოთვლილი ქმედებები არ განუხორციელებიათ. მათ თავად გამოიძახეს პოლიცია და ითხოვდნენ რეაგირებას ერთ-ერთი დაკავებული ტრანსგენდერი ქალის მიმართ განხორციელებული ქმედეპის ფაქტზე, რაც წარმოადგენდა სექსუალური ხასიათის სიტყვიერ შეურაცახყოფას და ბილწსიტყვაობას. (თავდამსხმელი, რომელმაც ქალს სექსუალური ხასიათის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და 100 ლარით დააჯარიმა.) ასევე, დაზარალებულების განმარტებით, პოლიციის მოქმედება განპირობებული იყო არასენსიტიურობით და ტრანსფობიური წინასწარგანწყობით.

სასამართლომ გაიზიარა დაკავებულთა ადვოკატის შეხედულება და მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარ-მოება შეწყდა, სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

## საქმე №56-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. ბ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 13 ნოემბერს თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციამ დააკავა ტრანსგენდერი ქალი ზ. ბ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტზე.

ტრანსგენდერი ქალის ინტერესებს სასამართლოში WISG-ის იურისტი იცავდა. ადვოკატთან გასაუბრებისას ზ. ბ.-მ აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა პოლიციის მიერ წარმოდგენილ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში აღწერილ გარემოებებს. მან თავად გამოიძახა პოლიცია და ითხოვდა რეაგირებას მის მიმართ განხორციელებული შევიწროვების ფაქტზე. ზ. ბ.-ს განმარტებით, ის გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი გენდერული იდენტობის საფუძველზე, რადგან სწრაფი კვების ობიექტის თანამშრომლებმა ხაჭაპურის მიყიდვაზე ტრანსფობიური დამოკიდებულების გამოუთხრეს უარი.

2016 წლის 6 დეკემბერს გამართულ სასამართლოს სხდომაზე, მოსამართლემ გაიზიარა დაკავებულის ადვოკატის შეხედულება და ზ. ბ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

#### საქმე **№30/31-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ორი გრანსგენდერი ქალი g. g. g. g. g. g. g.

2016 წლის 13 ივნისს ტრანსგენდერ ქალებს ვ. ტ.-ს და თ. მ.-ს, თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავს დაესხა რამდენიმე პირი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე ავტომანქანით მივიდნენ და ქალებს მიასხეს ნავთობპროდუქტი. დაზარალებულების განმარტებით, თავდამსხმელები ცეცხლის მოკიდებასაც ცდილობდნენ, მაგრამ მათ გაქცევა მოახერხეს.

დაზარალებულებმა გამოიძახეს პოლიცია და მიაწოდეს ინფორმაცია თავდამსხმელების შესახებ. იმავე ღამეს, პოლიციის მიერ დაკავებულ იქნა ყველა თავდამსხმელი, რომლებიც მეორე დღეს სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 100 ლარის ოდენობით.

# საქმე **№09-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია 8. ბ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 14 აპრილს, ლამის საათებში, გრანსგენდერი ქალი ზ. გ. მეგობართან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ერთ-ერთი ცენ-გრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე გერიგორიაზე. მათთვის უცნობმა პიროვნებამ ზ. ბ.-ს მეგობარს, ასევე გრანს-გენდერ ქალს, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ზ. ბ.-მ გამოიძა-ხა სასწრაფო დახმარება, რომელთან ერთადაც შემთხვევის ად-გილზე პოლიციაც მივიდა და ზ. ბ. დააკავეს საქართველოს ადმი-

ნისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისად-მი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვე-ვის ჩადენის გამო.

დაზარალებულის განმარტებით, ის პოლიციის მხრიდან ტრანსფობიური დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა და ადმინისტრა-ციული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. 2016 წლის 18 აპრილს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზ. ბ.-ს შეეფარდა 5-დღიანი პატიმრობა.

# საქმე **№46-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. მ. ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 2 აგვისტოს, თბილისში. ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციამ დააკავა ტრანსგენდერი ქალი ზ. მ. საქართველოს ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტზე.

ზ. მ.-ს ინტერესებს სასამართლოში WISG-ის იურისტი იცავდა. აღვოკატთან გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ შეცდომით მოაწერა ხელი ადმინისტრაციული დაკავების ოქმს და სათანადოდ არ გაცნობია მას. ამასთან, ზ. მ.-მ განმარტა, რომ ოქმში აღწერილი ქმედებები არ განუხორციელებია. დაზარალებულის ინფორმაციით, მისთვის უცნობმა პირმა მიაყენა სექსუალური ხასიათის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და ამ მიზნით გამოიძახა საპატრულო პოლიცია. ამავდროულად, მისი ცემის ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ზ. მ.-ს განმარტებით, პოლიციის მოქმედება განპირობებული იყო არასენსიტიურობით.

სასამართლომ არ გაიზიარა დაკავებულის ადვოკატის შუამდგომლობა სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების შესახებ, ზ. მ. ცნო სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ის პირიც, ვინც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ტრანსგენდერ ქალს, ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა იმავე ოდენობით.

## საქმე №32-33-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ორი ტრანსგენდერი ქალი გ. ზ. და თ. მ.

2016 წლის 25 ივნისს, თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციამ დააკავა ორი ტრანსგენდერი ქალი გ. ზ. და თ. მ. პოლიციის მიერ მათ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტზე.

ტრანსგენდერი ქალების ინტერესებს სასამართლოში WISG-ის იურისტი იცავდა. ადვოკატთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ შეცდომით მოაწერეს ხელი ადმინისტრაციული დაკავების ოქმს და სათანადოდ არ გაცნობიან მას. ამასთან, დაკავებულები განმარტავდნენ, რომ ოქმში აღწერილი ქმედებები არ განუხორ-ციელებიათ. მათ თავად გამოიძახეს პოლიცია და ითხოვდნენ რეაგირებას ერთ-ერთი დაკავებული ტრანსგენდერი ქალის გ. ზ.-ს

მიმართ განხორციელებული დანაშაულის ფაქტზე. ასევე, დაზარალებულების განმარტებით, პოლიციის მოქმედება განპირობებული იყო არასენსიტიურობით.

სასამართლომ გაიზიარა დაკავებულთა ადვოკატის შეხედულება და თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ "მათ, [განსახილველ შემთხვევაში გამოვლენილ გადაცდომებს] მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მიუხედავად, უხეშად არ შეულახავთ სხვათა პირადი თუ ქონებრივი უფლებები და თავისუფლებები, არსებითად არ შეუშლიათ ხელი პოლიციის თანამშრომლების საქმიანობისათვის" და დაკავებულებს გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

#### საქმე №61-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ხუთი ტრანსგენდერი ქალი.

2016 წლის 27 ნოემბრის ღამეს, თბილისში, ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხუთ ტრანს-გენდერ ქალს თავს დაესხა ორი პიროვნება, რომელთაც სცადეს ქალების ცემა, ისროდნენ ქვებს და მინის ბოთლებს. ინციდენტის შედეგად და ზარალებული ტრანსგენდერი ქალის ზ. ბ.-ს განმარტებით, ერთ-ერთი თავდამსხმელი დანის გამოყენების მუქარით გაეკიდა ორ ქალს, მაგრამ მათ გაქცევა მოახერხეს. რამდენიმე და ზარალებულმა მიილო სხეულის მსუბუქი და ზიანება. კერძოდ, თავდამსხმელმა მას მინის დიდი ბოთლი ესროლა, რომელიც ზურგის არეში მოხვდა. ასევე, მისი ინფორმაციით, მეორე მინის ბოთლი მოხვდა თავის არეში კიდევ ერთ ტრანსგენდერ ქალს, მაგრამ და ზიანებები არ იყო მწვავე და სამედიცინო დახმარების საჭიროებაც არ დამდგარა. და ზარალებულების განმარტებით, თავდამსხმელთა მოქმედება განპირობებული იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით.

ზ. ბ.-მ საპატრულო პოლიცია გამოიძახა, თუმცა სამართალდამცავების მოსვლამდე თავდამსხმელებმა მიმალვა მოასწრეს. დაზარალებულებმა საქართველოს სახალხო დამცველსაც მიმართეს ცხელ ხაზზე დახმარების თხოვნით. ამ დროისთვის დანაშაულის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და საქმეს ომბუდსმენიც სწავლობს.

# საქმე **№49-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. ბ. ტრანსგენდერი ქალი.

ზ. ბ.-ს განმარტებით, იგი 2016 წლის 4 ოქტომბერს, მეგობარ ტრანსგენდერ ქალთან გ. ჯ-სთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, თავდაცვის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მის მეგოპარს შელაპარაკება მოუვიდა სამხედრო ფორმაში ჩაცმულ მამაკაცებთან, რომლებიც იმყოფებოდნენ სამინისტროს ეზოს ტერიტორიაზე. ზ. ბ.-მ გადაწყვიტა მობილური ტელეფონით გადაელო კონფლიქტი, რათა შემდგომში პოლიციისთვის მიეწოდებინა, როგორც დანაშაულის მტკიცებულება. აღნიშნულზე სამხედრო ფორმაში ჩაცკმული მამაკაცკები გაღიზიანდნენ და გადაწყვიტეს ზ. პ.-სთვის მობილური ტელეფონის წართმევა. ამ მიზნით გადაუგრიხეს ხელები, რის გამოც მას მაჯებზე აღენიშნებოდა სიწითლეები. ძალადობის შედეგად ზ. ბ. დაეცა მიწაზე და დაუზიანდა მარჯვენა მუხლი, რომელიც დაზიანებაც პოლიციის განყოფილებაში განცახადების შეტანის მომენტისთვისაც ეტყობოდა. ძალადობის შედეგად, მამაკაცებმა ზ. ბ.-ს წაართვეს მობილური ტელეფონი და წაუშალეს გადაღებული მასალა. დაზარალებულის განმარტებით, სამხედრო ფორმაში ჩაცმული თავდამსხმელები იყენებდნენ ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ სიძულვილის ენას და მისი აზრით, მათი ქმედებები განპირობებული იყო ტრანსგენდერი ქალების გენდერული იდენტობის მიმართ შეუწყნარებლობით.

აღნიშნულზე ზ. ბ.-მ მიმართა პოლიციას, მაგრამ გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს. WISG-ის იურისტს, რომელიც ზ. ბ.-ს ინტერესებს იცავს გამოძიების ეტაპზე, პოლიციაში განუცხადეს, რომ აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულშიც.

## საქმე №50-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. ბ. ტრანსგენდერი ქალი.

ტოანსგენდერი ქალის ზ. ბ.-ს განმარტებით, 2016 წლის 5 ოქ-ტომბერს მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, ერთერთი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე. შუალამით, გამოჩნდა ავტომანქანა, რომელშიც 4-5 მამაკაცი იჯდა და მას და მის მეგობრებს აყენებდნენ სექსუალური ხასიათის სიტყვიერ შეურაცხყოფას, უქმნიდნენ დამამცირებელ და მტრულ გარემოს და ესროდნენ ქვებს. ზ. ბ.-მ WISG-ის იურისტთან საუბარში აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის ფაქტები ხშირად ხდება. ასევე, პოლიციაში შეტანილ განცხადებაშიც და ზეპირი გასაუბრების ოქმშიც, ზ. ბ.-მ განმარტა, რომ ინციდენტის დროს კიბეზე ჩავიდა დასამალად და სწორედ ამ მომენტში მოხვდა თავდამსხმელთა მიერ ნასროლი ქვა. ზ. ბ.-ს მიაჩნია, რომ თავდამსხმელთა მოქმედებები განპირობებული იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური შეუწყნარებლობითა და სიძულვილით.

ზ. პ.-მ პოლიციას აცნობა თავდამსხმელის მანქანის სერიაც და ფერიც. საქმის გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს.

#### 6. ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "დისკრი-მინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". ამ კანონის საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი და ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დისკრიმინაციის საქმეების წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით. 43 მიუხედავად ამ ცვლილებებისა დღის წესრიგში დგას ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის არაეფექტურობის საკითხი საზოგადოების ცალკეულ მარგინალიზებულ ჯგუფებთან, მათ შორის ლგბტი თემთან მიმართებით. "კანონში ასახული არაერთი მნიშვნელოვანი ნორმის მიუხედავად, რჩება პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ხარვეზები, რომელიც კანონის პრაქტიკაში იმპლემენტაციას გარკვეულ ბარიერს უქმნის".44

#### 6. 1. ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ

## 6. 1. 1. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

სქესის ნიშნით დისკრიმინაციას პირდაპირ კრძალავს როგორც საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი აქტები, ისე ეროვნული კანონმდებლობა. საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ "სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას, ძირითადად, ქალების მიმართ აქვს ადგილი.

<sup>43</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თავი XLIV<sup>®</sup> სამართალნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hzVd5o

<sup>44 &</sup>quot;სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ". საქართ-ველოს სახალხო დამცველი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც ქალები დისკრიმინაციას განსაკუთრებით ხშირად აწყდებიან, წინასახელშეკრულებო და შრომითი ურთიერთობებია."<sup>45</sup> WISG-ის წარმოებაშია ქალის საქმე, რომელიც თავს ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს: პოლიტიკური შეხედულებისა და სქესის ნიშნით.

## საქმე №29-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ლ. ლ. სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალი.

ლ. ლ. მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა სსიპ "თპილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში" სხვადასხვა თანამდებობებზე. 2014 წლის 19 აგვისტოს მას თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის დარგობრივი საფაკულტეტო კომისიის გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე. კომისიის სხდომის შესაბამის სხდომის ოქმში აღნიშნულია: "ლ. ლ.-ს განაცხადი პრინციპში შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიის წევრების ნაწილმა, რომლებიც მუშაობდნენ აკადემიურ თანამდებობაზე დააფიქსირეს, რომ ლ. ლ. წლების მანძილზე მუშაობდა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგის თანამდებობაზე და შესაბამისად იცნობენ მას და მის მოღვაწეობას. ლ. ლ.-ს მხრიდან ხშირი იყო არაკოლეგიალური ქცევა. იგი ხშირად ქმნიდა არაჯანსაღ სასწავლო პროცესისათვის შეუსაბამო გარემოს, რაც არასახარბიელოდ აისახებოდა საგანმანათლებლო პროცესზე."

ლ. ლ. მიიჩნევს, რომ კომისიის გადაწყვეტილება განპირობებულია წევრთა დისკრიმინაციული შეხედულებებით მისი სამოქა-

<sup>45</sup> იქვე.

ლაქო და პოლიტიკური საქმიანობის მიმართ. იგი მიიჩნევს, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, ასევე იმის გამო, რომ ქალია. ლ. ლ.-მ მიმართა სასამართლოს და საქართველოს სახალხო დამცველს დისკრიმინაციის დადგენის თხოვნით, მაგრამ სახალხო დამცველის აპარატში მისი საქმისწარმოება შეწყდა, რადგან საქმეზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

WISG მოგვიანებით ჩაერთო ლ. ლ.-ს საქმეში და ორგანიზაციის დახმარებით გასაჩივრდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტი-ლება სააპელაციო სასამართლოში. ასევე, ლ. ლ.-მ ხელახლა მი-მართა საქართველოს სახალხო დამცველს კონკურსის კანონის შესაბამისად ჩატარების შემოწმებისა და შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით.

# 6. 1. 2. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა არაპირდაპირი დისკრიმინაცია

WISG-ის მიერ ძალადობის მსხვერპლი ქალების საქმეთა წარმოებისას გამოვლინდა, რომ "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში (გაუპატიურება) დაზარალებული ქალებისათვის ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით სამედიცინო ჩარევის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის".<sup>46</sup> გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (გაუპატიურება) დაზარალებული ადამიანებიდან "მხარდამჭერი აბორტის" საჭიროება მხოლოდ ქა-

<sup>46</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინის-გროს 2016 წლის 5 სექტემბრის წერილი №01/674779

ლებს შეიძლება ჰქონდეთ, აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობა უნდა იყოს განხილული გენდერული თანასწორობის კუთხით. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ქალებისათვის ამ სერვისის დაფინანსების არარსებობა ქვეყანაში, არის დისკრიმინაციული პრაქტიკა და მისი აღმოფხვრა მხოლოდ სპეციალური ღონისძიების — დანაშაულის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის უფასო და ხარისხიანი ორსულობის შეწყვეტის სერვისების ხელმისაწვდომობით იქნება აღმოფხვრილი.

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის უფლება ქალის რეპროდუქციული უფლებაა და გარანტირებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "მონაწილე სახელმწიფოებმა ყველა შესაბამის ზომას უნდა მიმართონ ქალის მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში."<sup>47</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქალებს ჰქონდეთ ორსულობის შეწყვეტის უფლება და ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის სერვისზე ისეთ შემთხვევებში, როდესაც ორსულობა ქალის მიმართ ძალადობის შედეგად დგება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე თავის ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის წარდგენილ 2016 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ "ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ხარისხიანი სერვისები უნდა არსებობდეს და იყოს ხელმისაწვდომი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, შემდეგ შემთხვევებში: როდესაც დედის სიცოცხლე და ჯანმრთელობა რისკის ქვეშაა, როდესაც დედა გაუპატიურების ან ინცესტის მსხვერპლია და როდესაც ემ-

<sup>47</sup> გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 12(1). ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cedaw.pdf

ბრიონი დაღუპულია. ორსულობის შეწყვეტის შემდგომი ზრუნვა უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოზარდი გოგონებისთვის, იმისგან დამოუკიდებლად ლეგალურად მოხდა ორსულობის შეწყვეტა, თუ არალეგალურად."<sup>48</sup>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა, საქმეზე ლ. ს. პერუს წინააღმდეგ,<sup>49</sup> გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ "მას შემდეგ რაც სახელმწიფომ მოახდინა თერაპიული აბორტის ლეგალიზება, მან უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი ჩარჩო, როგორც აბორტის გაკეთების მსურველი ქალებისათვის, ასევე სფეროს პროფესიონალებისათვის,რომელიც საშუალებას მისცემს ქალებს ისარგებლონ თავიანთი უფლებით სათანადო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის პირობებში." სამართლებრივ ჩარჩოში მოიაზრება როგორც ეროვნულ დონეზე შესაბამისი კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების შექმნა, ისე დანაშაულის შედეგად უფლებაში აღდგენისათვის საჭირო აუცილებელი ღონისძიებები.

სტამბოლის კონვენციის 25-ე მუხლი ეხება სერვისებზე ხელმისაწვდომობას, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს ესაჭიროებათ და მათთვის სპეციალური ცენტრების შექმნის აუცილებლობას აწესებს. ევროპის საბჭო 2008 წელს შექმნილ დოკუმენტში "ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა: მხარდამჭერი სერვისების მინიმალური სტანდარტები",<sup>50</sup> სექსუალური ძალადობის (გაუპატი-

<sup>48</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში. 2016 წლის 4 აპრილი. A/HRC/32/32; ხელმისაწვდომია ბმულზე: https://documents-dds-ny. un.org/doc/UNDOC/GEN/G16/067/53/PDF/G1606753.pdf?OpenElement

<sup>49</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი. 2011 წლის 4 ნოემბერი. Case of L.C. vs. Peru (CEDAW/C/50/D/22/2009) ხელ-მისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hruUT8

<sup>50 &</sup>quot;ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა: მხარდამჭერი სერვისების მინი-მალური სტანდარტები". ევროპის საბჭო. 2008. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2grWcZv

ურების) მსხვერპლთათვის ერთ-ერთ აუცილებელ სერვისად, საჭიროების შემთხვევაში, ორსულობის შეწყვეტის ხელმისაწვდომობას ასახელებს. გაუპატიურების პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი $^{51}$  აქვს მომზადებული ევროპარლამენტს, სადაც მიმოიხილავს მსოფლიოს მასშტაბით არსებულ საუკეთესო პოლიტიკას, კანონმდებლობას და სერვისებს. ანგარიშის თანახმად, ცალკეულ ქვეყნებში არსებობს სპეციალური კრიზისული ცენტრები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, სადაც ხელმისაწვდომია ორსულობის შეწყვეტის სერვისები და მათ შორის ე. წ. "მხარდამჭერი აბორტი."

2016 წლის 10 ნოემბერს WISG-მა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.<sup>52</sup> ომბუდსმენს ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

## 6. 2. ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐ <u>ᲓᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ</u>

ლგბტი ადამიანთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა და არასახარბიელო, არათანაბარი სექსუალურ მოპყრობა ძირითადად, მათ ორიენტაციას იდენტობას უკავშირდება. "დისკრიმინაცია გენდერულ და ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობა სექსუალური და ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე საკმაოდ გავრცელებულია ქვეყანაში. ამგვარი ფაქტების უმეტესობა

51

<sup>51</sup> გაუპატიურების პრევენციისა და მსხვერპლ ქალთათვის მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა. ევროპის პარლამენტი. 2013. ხელმისაწბმულზე: http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/ join/2013/493025/IPOL-FEMM ET(2013)493025 EN.pdf

აღურიცხავი და შესაბამისად, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება. არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სახელმწიფო დონეზე, რომელიც აღრიცხავდა და შეისწავლიდა დისკრიმინაციას სოგის საფუძველზე, ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულებათა ხასიათსა და გავრცელებას ქვეყანაში და შეიმუშავებდა და დაგეგმავდა სოგის საფუძველზე დისკრიმინაციის დაძლევისაკენ მიმართულ კონკრეტულ და ეფექტიან მიდგომებს".<sup>53</sup>

დისკრიმინაციისგან დაცვისა და კანონის წინაშე თანასწორობის განმამტკიცებელი სამართლებრივი ნორმები ასახულია მრავალ საერთაშორისო და რეგიონულ სამართლებრივ აქტებში. ბევრი მათგანი სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას ექსპლიციტურად არ მოიხსენიებს დაცულ საფუძვლებში, მაგრამ სხვადასხვა გზებით ცდილობს მის ინკორპორირებას. მაგალითად, აერთიანებს "სხვა სტატუსის"<sup>54</sup> ან "სქესის" ნიშნის ქვეშ.<sup>55</sup> გარდა ამისა, სხვადასხვა დროს კომიტეტების მიერ მიღებულ ზოგად კომენტარებში მოხდა ანტი-დისკრიმინაციულ დებულებათა მიერ

<sup>53</sup> ე. აღდგომელაშვილი. "წინასწარგანყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ პირთა და მათი უფლებრივი მდგომარეობის მიმართ საქართველოში." WISG. თბილისი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gZuyij

<sup>54</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 23 "ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზ-რუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას რაიმე ნიშნის, როგორიცაა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ." ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/Jz4HwZ

<sup>55</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე ნიკოლას ტოონენი ავსტრალიის წინააღმდეგ (№488/1992, U.N. Doc CCPR/C/50/D/488/1992, 31.03.1994) გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საერთაშორისო ფაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-2 და 26-ე მუხლში მოხსენიებული სიტყვა "სქესი" სექსუალურ ორიენტაციასაც უნდა მოიცავდეს. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ბმულზე: http://hrlibrary.umn.edu/undocs/html/ws488.htm

დაცული საფუძვლების გაფართოვება. $^{56}$  არსებობს მრავალი რეგიონული და საერთაშორისო აქტი, რომელიც სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას დაცულ საფუძვლებში პირდაპირ მოიხსენიებს და უშუალოდ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას ეხება სხვადასხვა სფეროში. $^{57}$  საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას დაცულ საფუძვლებში პირდაპირ ასახელებს. $^{58}$ 

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცალკეული საქმეების განხილვისას უთითებს დისკრიმინაციულ მოპყრობაზე სექსუალური ორიენტაციისა<sup>59</sup> და გენდერული იდენტობის<sup>60</sup> საფუძვლით. ევროპულმა სასამართლომ (ECJ) თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>61</sup> განმარტა, რომ სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის საფუძველზე წარმოშობილი არათანა-ბარი მოპყრობა წარმოადგენს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით".

<sup>56</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის (UNICEF) ზოგადი კომენტარი 4 (2003) ანტი-დისკრიმინაციული დებულების კომენტირებისას ამბობს, რომ "[დაცული საფუძვლები] ასევე, ფარავს სექსუალურ ორიენტაციას" (§ 6). ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gonGu2

<sup>57</sup> ევროპის საბჭოს საპარლმენტო ასამბლეის რეზოლუციები: რეკომენდაცია 924(1981) ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ; რეკომენდაცია 1635(2003) ლესბოსელი და გეი ადამიანები სპორტში.

<sup>58</sup> საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 1. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/ view/2339687

<sup>59</sup> Lustig-Prean and Beckett v. The United Kingdom №31417/96, 27.09.1999; Salgueiro da Silva Mouta v. Portugal, №33290/96, 21.12.1999.

<sup>60</sup> Goodwin v. The United Kingdom, №17488/90, 27.03.1996; Van Kück v. Germany №35968/97, 12.6.2003.

<sup>61</sup> P.v. S. and Cornwall Country Council, Case №11.656, Report №71/99, 4.05.1999.

"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ "150—დან 62 [ლგბტ ადამიანს] აქვს დისკრიმინაციის გამოცდილება მომსახურების სფეროში (37 რესპოდენტს დისკრიმინაცია არ განუცდია, ხოლო 50 რესპოდენტს პასუხი არ აქვს) ეს მაჩვენებელი თანაბრად არის გადანაწილებული თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში."62

ხშირ შემთხვევაში, სწორედ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამჟღავნების შიშით ამბობენ უარს ლგბტი თემის წევრები დისკრიმინაციის შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველისთვის ან სასამართლოსთვის მიმართვაზე: "ძალადობის მსხვერპლი ლგბტი ადამიანები ხშირად თავს იკავებენ ამგვარ შემთხვევათა შეტყობინებისგან საქართველოში ძლიერი ჰომო/ტრანსფობიური კლიმატის გამო, ან იმ მიზეზით, რომ ეშინიათ სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამჟღავნებისა."<sup>63</sup> WISG-ს დოკუმენტირებული აქვს რამდენიმე სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევა როგორც სექსუალური ორიენტაციის, ისე გენდერული იდენტობის საფუძველზე, მაგრამ მხოლოდ ერთმა სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლმა გადაწყვიტა სახალხო დამცველისთვის მიემართა. ასევე, ერთ შემთხვევაში სავარაუდო მუქარის მსხვერპლმა მიმართა პოლიციას, მაგრამ საჩივრისთვის მსვლელობის მიცემას თავად შეუშალა ხელი, რადგან მოგვიანებით პოლიციაში განაცხადა, რომ შეურიგდა თავდამსხმელს და საქმისწარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

<sup>62 &</sup>quot;ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი.2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women.ge/data/docs/publications/WISG\_situ ation-of-lgbt-persons-in-Georgia\_GEO-www.pdf

<sup>63</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ. 01.03.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http:// bit.ly/2gOdqfC

## საქმე №53-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ვ. ტ. ტრანსგენდერი ქალი.

ვ. ტ. ტრანსგენდერი ქალია, რომელმაც 2016 წლის 7 სექტემბერს, გვიან ღამით, გამოიძახა ტაქსის გამოძახების სერვისი ''Maxim". ავტომობილის მოსვლის შემდეგ, იგი მეგობრებთან ერთად, მიუახლოვდა მანქანას, გააღო კარი და სურდა ჩაჯდომა, მაგრამ მძლოლმა, იფიქრა რა, რომ მისი მომსახურებით ტრანსგენდერ ქალებს უნდა ესარგებლათ, დაუყვირა: "ფუ, თქვე პიდარასტებო, მანქანაში არ ჩაგსვამთ". რადგან მიმდებარე ტერიტორიაზე მეზობლები მოძრაობდნენ, მძლოლის შეურაცხმყოფელ სიტყვებს მოყვა მეზობლების დაცინვა და ქილიკი ვ. ტ.-სა და მისი მეგობრების მისამართით.

ვ. ტ.-ს ამგვარი მოპყრობა ღირსების შემლახავად მიაჩნია და ფიქრობს, რომ ის გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი გენდერული იდენტობის გამო. იგი დარწმუნებულია, რომ მძღოლმა მხოლოდ იმიტომ უთხრა უარი მომსახურებაზე, რომ ის და მისი მეგობრები ტრანსგენდერი ქალები არიან.

ვ. ტ.-მ დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, მაგრამ ომპუდსმენს გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

# საქმე **№26-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია დ. ა. გეი მამაკაცი.

დ. ა. 2016 წლის 31 მაისს, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატავად, სოციალურ ქსელში (FACEBOOK), პირად გვერდ-

ზე, საჯაროდ დანერა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ერთერთი ნაციონალისტური დაჯგუფების წევრის სურათებით და გამოხატა პროტესტი ამ გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებით. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ვეგანური კაფის "კივის" დარბევის გამო. დ. ა.-ს განმარტებით, მისი გაზიარებული ინფორმაცია არ შეიცავდა შეურაცხყოფასა და დამამცირებელ ტექსტებს დაჯგუფების წევრის მიმართ, ეს იყო ჯანსაღი პროტესტი, რომელიც სრულად ექცეოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

აღნიშნულ სტატუსზე გალიზიანდნენ მის მეზობლად მყოფი ნაციონალისტური დაჯგუფების წევრები, შეხვდნენ დ. ა.-ს და მოსთხოვეს ინფორმაციის წაშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ ცემით. დ. ა.-ს მიაჩნდა, რომ მუქარა განპირობებული იყო მისი
სექსუალური ორიენტაციისა და პოლიტიკური შეხედულებების
მიმართ შეუწყნარებლობით. მან WISG-ის დახმარებით, მიმართა
პოლიციას, მაგრამ მეორე დღეს თავად მივიდა პოლიციაში და განაცხადა, რომ შეურიგდა დაჯგუფების წევრებს და პოლიციისგან
საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

## 7. ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

საქართველოში, ლგბტი ჯგუფის წევრებმა და მხარდამჭერებმა პომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საჯარო მსვლელობის მოწყობა პირველად 2012 წელს სცადეს. "2012 წლის 17 მაისს პოლიციამ ვერ შეძლო მშვიდობიანი დემონსტრანტების მესამე მხარის მიერ განხორციელებული ძალადობისაგან დაცვა... 2013 წლის 17 მაისის აქციაზე სახელმწიფომ ვერ შეძლო, განეხორციელებინა პოზიტიური ვალდებულება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით... 2014 წელს, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, 17 მაისს დააწესა ოჯახის სიმტკიცის დღე და სხვა ღონისძიებებთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე

მასობრივი მსვლელობა დააანონსა. უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო, 2014 წელს, ლგბტ და უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა უარი თქვეს 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ რამე მასშტაბური საჯარო აქციის ორგანიზებაზე."64

2015 წელს ლგბტი ადამიანთა სათემო ორგანიზაციების ორგანიზებით, 17 მაისი თბილისის სამ სხვადასხვა წერტილში აღინიშნა. "მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სიმბოლურ აქციებს გარკვეულწილად პოზიტიური დატვირთვა ჰქონდათ, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე აქცია გასაიდუმლოებულ რეჟიმში დაიგეგმა და არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. შესაბამისად, არ შეიძლება ის სახელმწიფოს მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის პრეცედენტად მივიჩნიოთ."65

2016 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე ლგბტი აქტივისტებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმასაჯაროსივრცეშივერ აღნიშნეს. ლგბტი აქტივისტების ერთი ჯგუფი ცდილობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან და თბილისის მერიისგან მიელო აქცია-მანიფესტაციის გამართვის ნებართვა და ითხოვდა უსაფრთხოების გარანტიებს. 2016 წლის 15 მაისს, აქტივისტების ჯგუფმა საჯარო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: "ჩვენ კატეგორიულად ვითხოვდით რუსთაველის გამზირზე შეკრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების გატარებას, მაგრამ უშედეგოდ — ხელისუფლებამ არ მოგვცა ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიები."66

<sup>64</sup> ც. რატიანი, ე. აღდგომელაშვილი, გ. გოცირიძე "დისკრიმინაცია და სიძლვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მი მართ". WISG. თბილისი. 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hyC315

<sup>65</sup> ლ. ჯალაღანია. "ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველო-ში". EMC. თბილისი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hw1LpH

<sup>66 &</sup>quot;ლგბტ აქტივისტთა ჯგუფი: ხელისუფლებამ არ მოგვცა ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების გარანტია." ლიბერალი. 15.05.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hQbinY

აქტივისტების ერთმა ჯგუფმა ჰომოფობიისა და ტრანფობიის საწინააღმდეგო მესიჯების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით, სტენსილები გააკეთა სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, საქართველოს საპატრიარქოს კედელზე. პოლიციამ ისინი სწორედ ამ დროს დააკავა. აქტივისტები მიიჩნევენ, რომ მათი დაკავება "კანონის მოთხოვნების დარღვევით და აგრესიული ფორმებით განხორციელდა ყოველგვარი განმარტების გარეშე, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირების მიერ."<sup>67</sup> მათი უფლებების დარღვევის ფაქტებზე "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა" (EMC) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი წარადგინა. <sup>68</sup>

განსხვავებით ლგბტ აქტივისტებისგან, რომლებიც სასამართლომ სტენსილების გაკეთების გამო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის 50 ლარით დააჯარიმა, WISG-ის პრაქტიკაში არსებულ სტენსილების გაკეთების ფაქტზე, პოლიციას სამართალდამრღვევი პოლიციის განყოფილებაში არ გადაუყვანია და სასამართლოს გადაწყვეტილებით ის მხოლოდ სიტყვიერად გააფრთხილეს.69

<sup>67</sup> EMC-იმ 2016 წლის 17 მაისს ლგბტ აქტივისტების უფლებების დარლვევის ფაქტებზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი წარადგინა. 08.12.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://emc.org. qe/2016/12/06/emc-188/

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> საქმე №35-2016. WISG-ის სერვისის მიმღებია 6. ღ. აგენდერი ადამიანი. 2016 წლის 27 ივნისს, პოლიციამ მაშინ დააკავა 6. ღ. მეგობარ 6. ჯ.-სთან ერთად, როდესაც ისინი, გვიან ღამით, ქ. თბილისში, მშრალი ხიდის მოაჯირზე საღებავის (ე. წ. პულივიზატორი) საშუალებით აკეთებდნენს ტრაფარეტულ ნახატებს (ე. წ. სტენსილი). 6. ღ.-მ WISG-ის იურისტთან საუბრისას განმარტა, რომ ამ ფორმით სურდა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ინფორმაცია გაევრცელებინა საზოგადოებაში და არც უფიქრია, რომ ეს შესაძლოა კანონის დარღვევა ყოფილიყო. პოლიციის მიერ შევსებულ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში აღნიშნულია, რომ 6. ღ.-მ და 6. ჯ.-მ დაარღვიეს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლი, რაც გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებას. სასამართლომ 6. ღ. და 6. ჯ. სამართალდამრღვევად ცნო, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება გამოუცხადა.

## 7.1. ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

2016 წლის 17 მაისს უსაფუძვლო ბრალდებებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო, ქალაქის სხვადასხვა უბანში დააკავეს კიდევ ორი ლგბტ აქტივისტი, რომელთა მიმართაც სასამართლომ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო. ლგბტი აქტივისტები დაკავებას მათ აქტივისტურ საქმიანობას უკავშირებენ.

## საქმე **№15-2016**

ვ. ტ. ტრანსგენდერი ქალია და ერთ-ერთ ლგბტი ადამიანების სათემო ორგანიზაციაში მუშაობს. 2016 წლის 17 მაისს დაახლოებით ლამის სამ საათზე, ვ. ტ. იმყოფებოდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის წინ, სადაც გააჩერა პოლიციის ორმა თანამშრომელმა და ადმინისტრაციული წესით დააკავა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო. იმავე დღეს გაიმართა სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებითაც, ვ. ტ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

ვ. გ. მიიჩნევს, რომ მისი დაკავება პირდაპირ უკავშირდებოდა 17 მაისს – ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინაღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. მისი აზრით, პოლიციამ მიზანმიმართულად აღუკვეთა თავისუფლება, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო ლგბტი თემის წევრთა მიერ დაგეგმილ რაიმე ღონისძიებაში.

# საქმე **№14-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია გ. დ. ლგბტი აქტივისტი გეი მამაკაცი.

გ დ. ლგბტი აქტივისტია და აქტიურად არის ჩართული საქართველოში ლგბტი ადამიანთა უფლებების ადვოკატირებაში. იგი ყველაზე მძიმედ დაზარალებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში "იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ."

2016 წლის 17 მაისის ლმეს, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, გ დ. გააჩერა პოლიციამ და ადმინისტრაციული წესით
დააკავა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსის 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო. იმავე დღეს გაიმართა
სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებითაც, გ დ.-ს მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა,
სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

გ დ. მიიჩნევს, რომ მისი დაკავება პირდაპირ უკავშირდებოდა 17 მაისს – ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინაღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. მისი აზრით, პოლიციამ მიზანმიმართულად აღუკვეთა თავისუფლება, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო ლგბტი თემის წევრთა მიერ დაგეგმილ რაიმე ღონისძიებაში.

#### 7. 2. ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ

"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საზოგადოების 80.1% უარყოფითადაა განწყობილი ლგბტი აქტივისტების მიმართ. ამასთან, "საზოგადოების დამოკიდებულება აქტივისტების მიმართ ბევრად ნეგატიურია, ვიდრე ზოგადად ჰომოსექსუალების, ბისექსუალების ან ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მიმართ.."..<sup>70</sup> ლგბტი აქტივისტები და უფლებადამცველები ხშირად ხდებიან მუქარის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი ოჯახის წევრთა მხრიდან, რაც ერთგვარი ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის ფორმაა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, მიეკუთვნებიან თუ არა ისინი ლგბტი ჯგუფს. საზოგადოებისა და ოჯახის წევრთა აგრესიის საფუძველს, ხშირად, ლგბტი სათემო ორგანიზაციების მიერ გამართულ აქტივობებში ან სხვადასხვა ფორმალურ ან არაფორმალურ ღონისძიებებში აქტივისტების ჩართულობა წარმოადგენს.

## საქმე №24-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია მ. ქ. ლგბტი აქტივისტი ლესბოსელი ქალი.

მ. ქ. ლესბოსელი ქალია და ლგბტი ადამიანთა სათემო ორგანიზაციაში მუშაობს. იგი აქტიურად არის ჩართული ქალთა მოძრაობაში ქვეყანაში და აქტიურად მონაწილეობს შეკრებებისა და მანიფესტაციებში.

<sup>70</sup> ე. აღდგომელაშვილი. "წინასწარგანყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ პირთა და მათი უფლებრივი მდგომარეობის მიმართ საქართველოში." WISG. თბილისი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gZuyij

ინტერნეტში გავრცელებული ფოტოების საშუალებით, რომელიც აქცია-მანიფესტაციებზე მ. ქ.-ს მონაწილეობას აფიქსირებდა, მისი ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა ქალის სამოქალაქო აქტი-ვობების შესახებ. რამდენიმე დღეში მ. ქ.-მ ერთ-ერთი ოჯახის წევრისგან მიიღო მუქარის შემცველი შეტყობინება.

ზემოაღნიშნული მუქარა ქალმა რეალურად ჩათვალა, რადგან ოჯახის წევრების მხრიდან წარსულშიც ჰქონდა ძალადობრივი მოპყრობის გამოცდილება და პოლიციას მიმართა. გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს. WISG-ის იურისტისთვის, როგორც მისი ინტერესების დამცველისთვის, უცნობია იმსჯელა თუ არა გამოძიებამ დისკრიმინაციულ მოტივზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე.

## 7. 3. ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲗᲔᲛᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲥᲐᲠᲐ

ცალკეულ ლგბტი აქტივისტებზე ზეწოლისა და დევნის გარდაა, ლგბტი საკითხებზე მომუშავე სათემო ორგანიზაციების ოფისებიც გარკვეული საფრთხის ქვეშ იმყოფება. თავდასხმის ალბათობა იზრდება ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის – 17 მაისის მოახლოებასთან ერთად.

## საქმე №22-2016

2016 წლის 21 მაისს, WISG-ს გაუზიარეს სოციალურ ქსელში (FACEBOOK) ერთ-ერთი მოქალაქის მიერ გამოქვეყნებული მუქარის შემცველი შეტყობინების სქრინშოტი: "ლგბტ-ების მთავარი ოფისი სადაა თბილისში? წავიდეთ და საღებავებით გავუფორმოთ, ტექსტს მე შევადგენ. დაგვიჭირონ და დაგვაჯარიმონ, ჯანდაბას... გამომრევლებული სასტავი ნუ გამოგვეხმაურებით!

თარილი და დრო შევათანხმოთ. ამას სერიოზულად ვიძახი". სტატუსის ავტორი შეტყობინებას 8 ადამიანს უზიარებდა და კომენტარებში იკითხებოდა ძალადობისკენ მოწოდების შემცველი ტექსტები: "იოსებ და ბაზარში დიდი რაოდენობით ცოცხები ვიყიდოთ", "საღებავი არადა, ატრაბოტკა ზეთი მივუტანოთ, მივახვედროთ რა რისთვის აქვს ადამიანს" და ა. შ.

2016 წლის 23 მაისს, WISG-მა რეაგირებისთვის მიმართა პოლიციას და საქართველოს სახალხო დამცველს. მოგვიანებით, პოლიციამ გვაცნობა, რომ "განცხადების შესწავლის შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთა" და შესაბამისად სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. მოგვიანებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმაც შეწყვიტა საქმის წარმოება ორგანიზაციის განცხადებაზე.

8. ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲧᲝᲤᲐ

პირადი ცხოვრების უფლება ერთგვარი ქოლგა ტერმინია, რომელიც მოიცავს როგორც ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლებას, ისე პიროვნული განვითარების, პერსონალური იდენტობისა და ინტერ-პერსონალური ურთიერთობების უფლებას. პირადი ცხოვრების უფლება დაცულია მრავალი საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი აქტებით. საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით და არაპროპორციული ჩარევის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლოა, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. ასევე, 2011 წელს მიღებულ იქნა

კანონი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ," რომლის მიზანია "პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა."<sup>71</sup>

ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უნდა ერეოდეს პირად ცხოვრებაში, როცა ინდივიდი თავად დაუკავშირებს პირად ცხოვრებას საჯარო ცხოვრებას ან ახლო კავშირში იქნება სხვა დაცულ ინტერესთან.<sup>72</sup> გარდა სახელმწიფოს ჩარევისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა მოხდეს კერძო პირებისა და განსაკუთრებით, მედიისგან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უძლურია მედიის მხრიდან კანონის დარღვევის შემთხვევაში, რადგან "კანონის მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა მედია-საშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე."<sup>73</sup>

#### 8. 1. ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲣᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲝ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ

საქართველოს კანონის "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" მიხედვით, "ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს" წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს.<sup>74</sup> პერსონალურ მონაცემ-

<sup>71</sup> საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. მუხლი 1. ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437 72 ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიში. 1977. Bruggeman and Scheuten v. the Federal Republic of Germany.

<sup>73</sup> საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. მუხლი 3(4). ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

<sup>74</sup> საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. მუხლი 2(ა). ხელმსიაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

თა დაცვის ინსპექტორის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, სოციალურ ქსელში პირად გვერდზე დაწერილი ინფორმაცია, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების რაიმე ასპექტს ეხება, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, რომლის გავრცელების ან დამუშავებისთვის, აუცილებელია წინასწარი პირის ინფორმირებული თანხმობა.

დღესდღეობით, ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც სოციალურ ქსელს არ იყენებს და საკუთარ გვერდზე პირად ფოტოსურათებს ან სხვა სახის ინფორმაციას არ აქვეყნებს. მედიის მიერ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა შესაძლოა სხვადასხვა გზით მოხდეს, მათ შორის პირადი ფოტოსურათებისა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაციის ინფორმირებული თანხმობის გარეშე გავრცელებით.

სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ ქართულ მედიაში ხშირად იწერება, რადგან განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მედიის მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას, პირდაპირ ან ირიბად არ მოხდეს მსხვერპლის იდენტიფიცირება და შესაბამისად არ შეილახოს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

## საქმე **№40-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ს. ზ. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალი.

ს. ზ.-ს პერსონალური ინფორმაცია, როგორიცაა სოციალურ ქსელში (FACEBOOK) გამოქვეყნებული სტატუსი, მისი ნებართ-ვის გარეშე გამოქვეყნდა მედია საშუალებაში. საგაზეთო სტატია

შეიცავდა ინფორმაციას მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. ზემოაღნიშნული პერსონალური ინფორმაციის
გამოყენება საგაზეთო სტატიაში ქმნიდა დაზარალებულის იდენტიფიცირების არაპირდაპირ რისკს. ს. ზ. მიიჩნევდა, რომ შესაძლოა ჟურნალისტის მიერ მისი სახელისა და გვარის და სხვა პერსონალური ინფორმაციის მოპოვება მოხდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს
I განყოფილების და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ
კონფიდენციალობის დარღვევით.

ორგანიზაციამ რეაგირებისათვის მიმართა სსიპ "საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს". აპარატის შესაბამისი სპეციალისტმა გამოითხოვა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი საქვეუწყებო დაწესებულებებიდან, შეხვდა და გამოიკვლია ჟურნალისტის მიერ პერსონალური ინფორმაციის მოპოვების გზაც და კანონის დარლვევა ვერ დაადგინა. ინსპექტორის გადაწყვეტილების თანახმად, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პერსონალურ მონაცემთა უნებართვოდ გავრცელება ვერ დადგინდა, ხოლო კანონი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" არ ვრცელდება მედია საშუალებებზე, აპარატმა შეწყვიტა საქმის წარმოება.

ამჟამად, მზადდება სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც ს. ზ. მორალური ზიანის ანაზლურებას მოითხოვს და ამგვარად შეეცდება საკუთარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას.

## საქმე №52-2016

2016 წლის 17 ოქტომბერს "საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი კვირიას" (kvira.ge) მიერ გამოქვეყნდა სტატია "ვინ არის ტრანსგენდერი, რომელსაც სასტიკად გაუსწორდნენ? – "ერთმა ქვა ჩაარტყა, მეორემ ყელი გამოჭრა", რომელიც ტრანსგენდერი ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა. kvira.ge-ის მიერ მომზადებული მასალა შეიცავდა დაზარალებულის პერსონალურ მონაცემებს: სახელი და გვარი, ასაკი (პირადობის მოწმობის მიხედვით) და ფოტოსურათი. ამასთანავე, ჟურნალისტი ტრანსგენდერ ქალს ხან უბრალოდ "ტრანსგენდერად" მოიხსენიებდა, ხან მისი სახელით და გვარით პირადობის მოწმობის მიხედვით და ხანაც "ტრანსგენდერ ზიზის" უწოდებდა. ყოველივე ამასთან ერთად, მასალას მკითხველი შეყავდა შეცდომაში, რადგან გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებდა დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის შესახებ.

WISG მიიჩნია, რომ kvira.ge-ის მიერ, დაირღვა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი (ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას — მიილოს ზუსტი ინფორმაცია) და მე-10 პრინციპი (ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი). აგრეთვე, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მასალა მომზადდა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ, საქმის — "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ჟურნალისტების: "ლევან სუთიძის, ქეთი კვაჭანტირაძის, ბექა მჭედლიშვილის, თეა სიჭინავას და ნანუკა ქაჯაიას წინააღმდეგ" განხილვის შემდეგ გაცემული რეკომენდაციის "ტრანსგენდერ ადამიანებთან დაკავშირებული თემის გაშუქების შესახებ" უგულვებელყოფით.

ქარტიის საბჭოს ამ დრომდე არ უმსჯელია WISG-ის განცხადებაზე.

#### 8. 2. ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲥᲐᲠᲐ ᲚᲒᲑᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ფრითი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>75</sup> დაადგინა, რომ "გენდერული იდენტობა, სახელი, სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ცხოვრება პირადი ცხოვრების სფეროში ექცევა და დაცულია [ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის<sup>76</sup>] მე-8 მუხლით."

ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ საზოგადოებაში სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა განსაკუთრებით დაცულ პერსონალურ მონაცემს განეკუთვნება ლგბტი ადამიანებისათვის, რადგან ამ ინფორმაციის მათი ნებართვის გარეშე გავრცელების შედეგად, შესაძლოა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქროს. "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ 2012 წელს, ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულთა მესამედზე მეტი (36%) უმალავს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას ოჯახის წევრებსა და ნათესავებს. "ამასთან, კაცები უფრო მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას (N=29), ვიდრე ქალები (N=25)."77

ხშირად, პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფა პირდაპირ კავშირშია კიბერდანაშაულთან,<sup>78</sup> რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. WISG-ის პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ სოციალური ქსელში, ორ

<sup>75</sup> Pretty v. The United Kingdom №2346/02, 29.04.2002

<sup>76</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია. მუხლი 8. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/ view/1208370

<sup>77 &</sup>quot;ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი.2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women.ge/data/docs/publications/WISG\_situ ation-of-lgbt-persons-in-Georgia\_GEO-www.pdf

<sup>78</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXV, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426

ადამიანს შორის ჩატში გაგზავნილი პირადი ინტიმური ფოტოსურათები, სავარაუდოდ, უკანონოდ მოიპოვა პირმა, რომელიც ფოტოების გასაჯაროებით აშანტაჟებდა წყვილს. დაზარალებულებმა პოლიციას არ მიმართეს. პოლიციისადმი უნდობლობა გამოავლინა გეი მამაკაცმაც, რომელსაც მისთვის უცნობი პირი სოციალურ ქსელში, პირად პროფილზე განთავსებული პირადი ფოტოსურათებისა და მათი პირადი ჩატის ამავე სოციალური ქსელის სხვადასხვა ჯგუფებში გაზიარებით დაემუქრა. ამჟამად, WISG-ის წარმოებაშია ტრანსგენდერი ქალის საქმე, რომელშიც იკვეთება კიბერდანაშაულის ნიშნები.

# საქმე **№57-2016**

WISG-ის სერვისის მიმღებია ზ. მ. ტრანსგენდერი ქალი.

ზ. მ. ტრანსგენდერი ქალია, რომელსაც ყავს პარტნიორი ჰეტეროსექსუალი მამაკაცი. პარტნიორის ოჯახის წევრებისთვისაც
უცნობია მათი ურთიერთობის შესახებ. ზ. მ.-სთვის ცნობი გახდა, რომ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში შეიქმნა ყალბი ანგარიში,
რომლის მფლობელმაც გამოიყენა მისი და მისი პარტნიორის
პირადი ფოტოსურათები. ასევე, ზ. მ.-ს მიაწოდეს ინფორმაცია,
რომ ამ ყალბი ანგარიშის მფლობელმა მისი პარტნიორის ოჯახის
წევრებთან დაამყარა კომუნიკაცია და ახდენდა მათ ინფორმირებას ზ. მ.-სა და მისი პარტნიორის ურთიერთობის შესახებ. ზ. მ.-ს
განმარტებით, მისი პარტნიორის ოჯახის წევრების წინასწარგანწყობები ჰომოფობიური და ტრანსფობიურია. სწორედ ამის გამო
არ ახდენდნენ საკუთარი ურთიერთობის შესახებ მათ ინფორმირებას.

ზ. მ.-მ, იფიქრა რა, რომ შესაძლოა მის სიცოცხლეს და ჯანმრთელოპას საფრთხე დამუქრეპოდა მისი პარტნიორის ოჯახის წევრების მხრიდან, WISG-ის დახმარებით მიმართა პოლიციას. პოლიციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს წინა საგამოძიებო მოქმედებები და ამ დრომდე დაუდგენელია პიროვნება, რომელიც მანიპულირებს ზ. მ.-სა და მისი პარტნიორის პირადი ფოტოსურათებით.

#### 8. 3. ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ყოველდღიური ამოცანები, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ პროგრამებში ჩართვა, ანგარიშის გახსნა
ბანკში ან ნოტარიუსთან მინდობილობის გაფორმება, შესაძლოა
იქცეს სირთულედ, თუ ადამიანის გენდერული იდენტობა არ ემთხვევა მისი სქესის შესახებ ჩანაწერს პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში: ID ბარათში, პასპორტში ან დაბადების
მოწმობაში. საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად აწყდებიან ასეთ პრობლემებს, რადგან ქვეყანაში
არ არსებობს გენდერის სამართლებრივი აღიარების მარეგულირებელი კანონმდებლობა. "განსხვავება ადამიანის გენდერულ
თვითაღქმას/თვითგამოხატვასა და სქესის შესახებ ჩანაწერს
შორის ხშირად უზღუდავს ტრანსგენდერ ადამიანებს დასაქმების, განათლების მიღებისა და შეურაცხყოფისა და დამცირების
თავიდან არიდების შესაძლებლობებს".<sup>79</sup>

პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა და მათში ცვლილების შეტანაზე პასუხისმგებელი უწყება საქართველოში იუსტიციის სამინისტროა, რომელსაც არ გააჩნია გენდერის სამართლებრივი აღიარების, ანუ სქესის გრაფაში ცვლილების შეტანის რეგულირების ნათელი და გამჭვირვალე პროცედურა. ამ დროისთ-

<sup>79</sup> ე. აღდგომელაშვილი, ნ. გვიანიშვილი, ც. რატიანი, თ. თოდუა. "ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში". საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2f7zPDj

ვის არსებული მდგომარეობით, ქვეყანაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში გენდერის მარკერის ცვლილებისთვის, ტრანსგენდერ ადამიანებს მოეთხოვებათ სქესის ქირურგიული გზით კვლავმინიჭების არასასურველი და ძვირადღირებული სამედიცინო პროცედურების ჩატარება. მხედველობაში არ მიიღება ის გარემოება, რომ აღნიშნული პროცედურები არ რეგულირდება ეროვნული ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ გააჩნია ამ სამედიცინო მანიპულაციის ჩატარების კლინიკური გაიდლაინი და პროტოკოლი.

"გენდერის სამართლებრივი აღიარება ნიშნავს ტრანსგენდერი ადამიანების პირადი ცხოვრების, თვითგამორკვევის, ღირსების პატივისცემას და დისკრიმინაციის აკრძალვას."80 იგი პირდაპირ კავშირშია ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და გავლენას ახდენს ცხოვრების ისეთ ძირეულ ასპექტებზე, როგორიც თუნდაც დასაქმებაა. "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" (WISG) მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, "ადამიანის გენდერულ თვითგამოხატვასთან შეუსაბამო პირადობის დამადასტურებელი საბუთების გამო ტრანსგენდერი ადამიანები არა მხოლოდ არაოფიციალურად დასაქმებას ცდილობენ და ცუდ სამუშაო პირობებს თანხმდებიან, ისინი ასევე შეიძლება, ჩაერთონ კომერციულ სექს სამუშაოში, რაც მათ კიდევ უფრო მოწყვლადებს ხდის ძალადობის მიმართ."81

გენდერის სამართლებრივი აღიარების უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების უფლების

<sup>80 &</sup>quot;ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების დაცვა, მოკლე სახელმძღვანელო გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე" ევროპის საბჭო, 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/1KtTpZk

<sup>81</sup> ნ. გვიანიშვილი. "ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი. 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women.ge/ data/docs/publications/WISG\_Transgender\_survey\_2015.pdf

კონტექსტში განიხილავს და კონვენციის მე-8 მუხლით იცავს. სასამართლომ სხვადასხვა წლებში განიხილა ე. წ. პოსტ-ოპე-რაციული ტრანსგენდერი ადამიანების საქმე და დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ სახელმწიფომ განმცხადებლებს უარი უთხრა გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე და არ მოახდინა მათი პიროვნების საინდენტიფიკაციო დოკუმენტებში სქესის მარკერის შეცვლა.82

ამ დრომდე სტრასბურგის სასამართლოს არ უმსჯელია ე. წ. "პრეოპერაციული" ტრანსგენდერი ადამიანების გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხზე, მაგრამ 2007 წელს იმსჯელა სქესის კვლავმინიჭებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ვაკუუმზე ქვეყანაში<sup>83</sup> და დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის
დარღვევა; 2003 და 2009 წელს იმსჯელა სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის ხარჯების ანაზღაურების საკითხზე და დაადგინა, რომ სადაზღვევო კომპანიის უარი აღნიშნული
სამედიცინო პროცედურების დაფინანსებაზე,<sup>84</sup> ისევე როგორც
არაგონივრული დროის მანძილზე ლოდინი დაფინანსებისთვის,<sup>85</sup>
წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების
დარღვევას. 2015 წელს განხილულ საქმეში აღნიშნა, რომ შეუქცევადი სტერილიზაციის მოთხოვნა გენდერის სამართლებრივი
აღიარებისათვის, არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.<sup>86</sup>

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, "წევრმა სახელწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ

<sup>82</sup> ქრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ №28957/95; 27.03.1996; ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ №13343/87, 24.01.1992; ი. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ №25680/94, 11.07.2002

<sup>83</sup> ლ. ლიტვის წინააღმდეგ №27527/03, 11.09.2007

<sup>84</sup> ვან კუკი გერმანიის წინააღმდეგ №35968/97, 12/09/2003

<sup>85</sup> შლუმპი შვეიცარიის წინააღმდეგ № 29002/06, 09.01.2009

<sup>86</sup> Y. და Y. თურქეთის წინააღმდეგ №14793/08. 10.03.2015

გარანტირებული იყოს პიროვნების სქესის კვლავმინიჭების სამართლიანი აღიარება ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ, შესაძლებელი გახადოს სახელისა და სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა ოფიციალურ დოკუმენტებში სწრაფად, გამჭვირვალედ და ხელმისაწვდომი გზით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესაბამისი აღიარება და ცვლილება არასახელმწიფო სუბიექტების მიერ, როგორიცაა საგანმანათლებლო სერტიფიკატები და ცნობები სამუშაო ადგილიდან."87

გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის ევროპის მრავალ ქვეყანაში დანერგილია სწრაფი, ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე პროცედურები და პროცესი არ ითვალისწინებს არასასურველი და ძვირადღირებული სამედიცინო პროცედურების ჩატარების ვალდებულებას. მაგალითად, ავსტრიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ და საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის სამედიცინო პროცედურების ჩატარება არ არის საჭირო;<sup>88</sup> გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის სამედიცინო ინტერვენცია კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო;<sup>89</sup> შვეიცარიის რეგიონულმა სასამართლომ გენდერის სამართლებრივი აღიარებისას სამედიცინო ინტერვენციის მოთხოვნა გააუქმა.<sup>90</sup> გარდა ამისა, გენდერის სამართლებრივი აღიარება რეგულირდება

<sup>87</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწი-ფოებს "სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველ-ზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ". 2010. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.coe.int/en/web/sogi/rec-2010-5

<sup>88</sup> Austrian Administrative Court Cases (VwGH) 2008/17/0054 (decided on 27 January 2009) and Austrian Constitutional Court (VfGH) Case B 1973/08-13 (decided on 3 December 2009)

<sup>89</sup> Constitutional Court Case 1 BVR 3295/07 (decided on 11 January 2011)

<sup>90</sup> Regional Court of Bern-Mittelland Case CIV 12 1217 JAC (decided on 12 September 2012)

ცალკეული სამართლებრივი აქტებით ევროპულ ქვეყნებში და დანერგილია სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის.<sup>91</sup>

იმისათვის, რომ ტრანსგენდერი ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ დაირღვეს პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებისას, "აუცილებელია მაქსიმალურად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სქესის კვლავმინიჭების სამედიცინო პროცედურები."92

#### საქმე №02-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ა. ხ. ტრანსგენდერი კაცი

ა. ხ. ტრანსგენდერი კაცია, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი გენდერული იდენტობა არ შეესაბამება მისი სქესის შესახებ ჩანაწერს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. ამის გამო იგი სრულად ვერ ახერხებს ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ვერ საქმდება ისეთ სამუშაო ადგილზე, სადაც შესაძლოა მას მოსთხოვონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მისი განმარტებით, იმდენად ძლიერია ტრანსფობიური განწყობები საზოგადოებაში, რომ პოტენციური დამსაქმებლები შეიტყობენ რა, რომ ტრანსგენდერი კაცია, წინა სახელშეკრულებო ეტაპზევე უარს უცხადებენ სამსახურში მიღებაზე. მან გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვ-

<sup>91 &</sup>quot;გენდერის სამართლებრივი აღიარება ევროპაში". TGEU. 2013. ხელმისაწ-ვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hzWdlj

<sup>92</sup> ე. აღდგომელაშვილი, ნ. გვიანიშვილი, ც. რატიანი, თ. თოდუა. "ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში". საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2f7zPDj

ნით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის საქვეუწყებო დაწესებულებას. ა. ხ.-ს ცვლილების შეტანაზე უარი ეთქვა, რადგან არ აქვს ჩატარებული სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია.

ა. ხ.-ს სურვილი აქვს, რომ ჩაიტაროს სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია, მაგრამ რადგან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობით არ რეგულირდება ტრანს-სპეციფიკური სამედიცინო პროცედურები და შესაბამისად, არც ფინანსდება ქვეყანაში არსებული ცალკეული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებით, ვერ ახერხებს აღნიშნული ოპერაციის ჩატარებას.

WISG-ის დახმარებით, ა. ხ.-მ მიმართა სასამართლოს, რომ გაუქმდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დანერგილი პრაქტიკა გენდერის სამართლებრივი ალიარებისათვის და მას მიეცეს საშუალება, ყოველგვარი ოპერაციის გარეშე შეიცვალოს სქესის შესახებ ჩანაწერი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დაკმაყოფილა ა. ხ.-ს მოთხოვნა, მაგრამ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში და ჯერჯერობით უცნობია მიიღებს თუ არა სასამართლო წარმოებაში საქმეს.

## საქმე №03-2016

WISG-ის სერვისის მიმღებია ა. დ. ტრანსგენდერი კაცი

ა. დ. ტრანსგენდერი კაცია, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი გენდერული იდენტობა არ შეესაბამება მისი სქესის შესახებ ჩანაწერს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. ამის გამო იგი სრულად ვერ ახერხებს ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პრობლემები ექმნება ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის დროს, ვერ საქმდება ისეთ სამუშაო ადგილზე, სადაც შესაძლოა მას მოსთხოვონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მისი განმარტებით, იმდენად ძლიერია ტრანსფობიური განწყობები საზოგადოებაში, რომ პოტენციური დამსაქმებლები შეიტყობენ რა, რომ ტრანსგენდერი კაცია, წინა სახელშეკრულებო ეტაპზევე უარს უცხადებენ სამსახურში მიღებაზე. მან გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით მიმართა საქართველოს იუსტიციის შესაბამის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას. ა. დ.-ს ცვლილების შეტანაზე უარი ეთქვა, რადგან არ აქვს ჩატარებული სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია.

ა. დ.-ს არ აქვს სურვილი, რომ ჩაიტაროს სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია, რადგან მიაჩნია, რომ მისი გენდერული თვითგამოხატვისათვის, ეს ოპერაცია ვერ დაეხმარება.

WISG-ის დახმარებით, ა. დ.-მ მიმართა სასამართლოს, რომ გაუქმდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დანერგილი პრაქტიკა გენდერის სამართლებრივი ალიარებისათვის და მას მიეცეს საშუალება, ყოველგვარი ოპერაციის გარეშე შეიცვალოს სქესის შესახებ ჩანაწერი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დაკმაყოფილა ა. დ.-ს მოთხოვნა, მაგრამ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში და ჯერ-ჯერობით უცნობია მიიღებს თუ არა სასამართლო წარმოებაში საქმეს.

## 9. ᲡᲢᲘᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲣᲚ<del>Ვ</del>ᲘᲚᲘᲡ ᲔᲜᲐ

მედია, ერთი მხრივ, ასახავს და მეორე მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოებრივ განწყობებზე ცალკეული სოციალური ჯგუფების მიმართ. ვინაიდან საქართველოში ფორმალური განათლების სისტემა არ ფარავს სოგი-სთან დაკავშირებულ საბაზისო საკითხებს, საზოგადოების დიდი უმრავლესობისთვის, სწორედ მედია წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად წყაროს ლგბტი ადამიანებისა და საკითხების შესახებ<sup>93</sup>. ამ წინაპირობის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მედიის როლი და გავლენა ჰომო/ბი/ტრანსფობიური განწყობების ჩამოყალიბებაზე ქვეყანაში. საქართველოში ჩატარებული მედია-კვლევები ადასტურებს, რომ მედია ხშირად არაადექვატურად აშუქებს ლგბტი საკითხებს და ხელს უწყობს ლგბტი ადამიანთა სტერეოტიპიზაციასა და ეგზოტიზაციას, რაც თავის მხრივ, აისახება ლგბტი ადამიანებისა და უფლებადამცველების მიმართ არსებულ საზოგადოებრივ განწყობებზე. სხვადასხვა დროს ჩატარებული მედია-კვლევები ადასტურებს, რომ ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებას ერთგვარი დინამიკა ახასიათებს და განსაკუთრებით ძლიერდება წინასაარჩევნო პერიოდებში.<sup>94</sup>

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პარალელურად გახშირდა ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენება ქვეყანაში, რასაც ადასტურებს "მედიის განვითარების ფონდის" მიერ მომზადებული ანგარიშიც<sup>95</sup> რომლის თანახმადაც "454 ჰო-

<sup>93</sup> ე. აღდგომელაშვილი. "წინასწარგანყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ პირთა და მათი უფლებრივი მდგომარეობის მიმართ საქართველოში." WISG. თბილისი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gZuyij

<sup>94</sup> ე. აღდგომელაშვილი. "სიძულვილის ენა და რეგულაციის მექანიზმები". საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. კრებული: როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა. თბილისი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო. 2012. 95 თ. კინწურაშვილი. "სიძულვილის ენა". MDF. თბილისი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე; http://bit.ly/2gzUFj5

მოფობიური გამოხატვიდან, რომელიც მედიაში 459-ჯერ გაშუქდა, ყველაზე მეტის წყარო თავად მედია (152) და პოლიტიკური პარტიები (139) იყვნენ. შემდეგ ადგილებზე საზოგადოების წარმომადგენლები (86), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (34), სასულიერო პირები (35), მოქმედი (6) და ყოფილი ხელისუფლების (1), ასევე რუსეთის ხელისუფლების (1) წარმომადგენლები მოდიან".

ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენება ელექტორატის მიმხრობის ერთგვარ საშუალებად იქცა. ზოგადად სიძულვილის ენა საქართველოში კრიმინალიზებული არ არის, მაგრამ საარჩევნო კომპანიის წარმოებისას სიძულვილის ენის გამოყენება წარმოადგენს კანონდარღვევას, რადგან საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად, "პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას".

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის (ECRI) "რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, შექმნას რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა. ამის საფუძვლად გამოდგება სახალხო დამცველისა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციათა ექსპერტული ცოდნა."96

<sup>96</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI). მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. 01.03.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2dWQQTT

#### საქმე №48-2016

2016 წლის 2 ოქტომბერს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელდა საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის — ალექსანდრე ბრეგაძის საარჩევნო პლაკატის ფოტოსურათები. პლაკატზე გამოსახული იყო თავად მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბავშვებთან ერთად და იქვე ჩანდა წარწერა: "არა ერთსქესიანთა ქორწინებას!!! ჩვენ შევაგროვეთ მილიონობით ხელმოწერა გარყვნილების ასაკრძალად. არ დავუშვებთ პარლამენტში ანტიქართული კანონების მიღებას. ტრადიციული საქართველოსთვის. შემოხაზეთ 18". პლაკატის მარჯვენა მხარეს დატანილი იყო ორი შავი ხაზით არის გადახაზული ლგბტ ადამიანთა მოძრაობის სიმბოლური დროშა, ე. წ. ცისარტყელას დროშა.

2016 წლის 4 ოქტომბერს WISG-მა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის თაობაზე, განცხადებით მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. WISG მიიჩნევს, რომ საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – ალექსანდრე ბრეგაძის სარეკლამო პლაკატი არღვევდა საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლში განერილ აკრძალვებს (საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას), რამეთუ შეიცავდა ლგბტ ადამიანთა მიმართ საზოგადოებაში მტრული გარემოს შექმნის, მათ მიმართ ძალადობის წახალისების და დისკრიმინაციისკენ მოწოდების ნიშნებს. აღნიშნული პლაკატი მიზნად ისახავდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა მიმხრობას, მათ დაინტერესებას

და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ელექტორატს სთავაზობდა ლგბტ ადამიანთა საწინააღმდეგოდ მკაცრი ზომების გა-ტარებას, მათი თანასწორობის უფლების ხელყოფას.

WISG-ის განცხადებაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება.

# საქმე **№58-2016**

2016 წლის 23 ოქტომბერს, ტელეკომპანია "იმედის" ეთერში გადა(კემა "იმედის დროში" გავიდა სიუჟეტი – "ტრანსგენდერთა ნაწილი სექსუალური უმცირესობების უფლებადამცველებს უპირისპირდება". ჟურნალისტი ავრცელებდა არასწორ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას, როდესაც სიუჟეტში ამბობდა, რომ "საქართველოში, დაახლოებით, ორმოცამდე ტრანსგენდერი ცხოვრობს". გრანსგენდერ ქალებზე საუბრისას, ჟურნალისგი იყენებდა არაადეკვატურ ტერმინოლოგიას: ტიტრებში, სადაც რესპოდენტეპის სახელი და გვარი იყო მითითებული, ჩანდა წარწერა – "გრანსგენდერი". რესპოდენტის ახლო ხედით გადაღებული სხეულის ცალკეული ნაწილების ჩვენებით, მაკიაჟსა და მაღალქუსლიან ფეხსაცპელზე აქცენტირებით, ჟურნალისტი ახდენდა რესპოდენტის სხეულის ობიექტივიზაციას და ეგზოტიზაციას, რაც თავის მხრივ, აძლიერებდა ტრანსგენდერი ადამიანების შესახეპ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს. სიუჟეტში ჩანდა სექს-მუშაკების საქმიანობის ამსახველი კადრები, რომელსაც ჟურნალისტის შემდეგი სიტყვები ედო: "მათი [ტრანსგენდერი ქალების] ერთადერთი შემოსავლის წყარო სხეულით ვაჭრობაა".

WISG-ის და EMC-ის შეფასებით, სიუჟეტი არღვევდა საქართვე-ლოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველ (ჟურნალისტმა პა-


ტივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია) და მეშვიდე პრინციპს ("ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით") და მომზადებული იყო ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ, საქმის – "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ჟურნალისტების: "ლევან სუთიძის, ქეთი კვაჭანტირაძის, ბექა მჭედლიშვილის, თეა სიჭინავას და ნანუკა ქაჯაიას წინააღმდეგ" განხილვის შემდეგ გაცემული რეკომენდაციის "ტრანსგენდერებთან დაკავშირებული თემის გაშუქების შესახებ", სრული უგულვებელყოფით.

ქარტიის საბჭოს ამ დრომდე არ უმსჯელია WISG-ის და EMC-ის ერთობლივ განცხადებაზე.

10. WISG-0Ს ᲛᲘᲔᲠ 2016 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი" (WISG) 2010 წლიდან ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ძალადობის მსხვერპლ სქესის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეების სასამართლოში წაღებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ქვეყანაში მცხოვრებ ქალთა და ლგბტი თემის წევრთა სამართლებრივი მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

საანგარიშო პერიოდში, 2016 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, სქესის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს, WISG-ის იურისტებმა მრავალ შემთხვევაზე გაუწიეს ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაცია (სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციები). კონ-სულტაციების მიმღებ პირთა წრე ასე გამოიყურება:




გარდა ინდივიდუალური კონსულტაციებისა, ორგანიზაციის იურისტები პერიოდულად ატარებდნენ ჯგუფურ კონსულტა-ციებს ლგბტი თემისთვის აქტუალურ საკითხებზე:


- დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის შემთხვევაში;
- სახელისა და სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში;
- ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

WISG-ის იურისტებმა, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებთან, ცალკეულ

ადმინისტრაციულ ორგანოებში, საერთო სასამართლოებში, საქართველოს სახალხო დამცველსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში საადვოკატო წარმომადგენლობა განახორციელეს 60-ზე მეტ საქმეზე, რომელთა უმრავლესობა უკვე დასრულებულია, ხოლო რამდენიმე საქმის წარმოება გრძელდება. ძირითადად ჭიანურდება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საქმეების გამოძიება.



WISG-ის სამართლებრივი სერვისის მიმღებთა წრე გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით ასე გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში WISG-ის იურისტებს სქესის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლი ადამიანები ყველაზე ხშირად შემდეგ საკითხებზე მომართავდნენ:


- პოლიციის მიერ უკანონო დაკავება;
- საჯარო თავშეყრის ადგილებში შევიწროება ან/და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- ჯანმრთელობის დაზიანება და (გემა;
- დისკრიმინაცია;
- ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა და მუქარა;
- საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ქურდობა, გამოძალვა და სხვა.

სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების დოკუმენტირების ონლაინ შეტყობინების ფორმა

2016 წელს ორგანიზაციამ შექმნა სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების დოკუმენტირების ონლაინ-შეტყობინების ორენოვანი ფორმა (ქართულენოვანი ფორმა<sup>97</sup> და რუსულენოვანი ფორმა<sup>98</sup>), რომელიც ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. აღნიშნული ფორმის მეშვეობით ლგბტი ადამიანთა მიმართ ჩადენილი რვა სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ან ინციდენტის შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული. შემთხვევების ძირითადი ნაწილი ქვემო ქართლსა და თბილისში დაფიქსირდა. შეტყობინების

<sup>97</sup> ფორმა ხელმისაწვდომია ბმულზე: https://goo.gl/LsaAsF 98 ფორმა ხელმისაწვდომია ბმულზე: https://goo.gl/uwqPol

ფორმა ძირითადად, თავად მსხვერპლის მიერ იქნა შევსებული. უმრავლეს შემთხვევაში, დაზარალებული არ ასახელებდა საკუთარ ვინაობას და უარს აცხადებდა ადვოკატის მომსახურებაზე.



### 11. ᲨᲔᲰᲐᲛᲔᲑᲐ

დისკრიმინაცია სქესის, გენდერისა და ორიენტაციის საფუძველზე საკმაოდ გავრცელებულია ქვეყანაში, რაც ხელს უშლის ცალკეული ჯგუფის წევრებს სრულყოფილად მოახდინონ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება. ანგარიშში ვერ მოხვდა სქესის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლთა ძალადობის ყველა გავრცელებული ფორმა, რადგან ვფოკუსირდით მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებთანაც ორგანიზაციის იურისტებს ჰქონდათ შეხება 2016 წლის განმავლობაში. WISG-ის მიერ წარმოებული საქმეების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ცალკეული საკითხები, რომლებიც უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან.

ლგბტი ადამიანები ვერ სარგებლობენ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით, მათ ვერც 2016 წელს და ვერც წინა წლებში შეძლეს საზოგადოებრივი სივრცის დაუბრკოლებლად გამოყენება. აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ლგბტი თემის წევრთა მიერ გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებებით სხვების თანასწორად სარგებლობისთვის სათანადო ზომების გატარება და სახელმწიფომ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა შეიმუშავოს.

მიუხედავად პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება გამოწვევად რჩება. პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულებები, რომ საკითხები, რომელიც სქესის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება სასწრაფოდ დარეგულირდეს და აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებზეც საქართველოს სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიუთითებენ. აუცილებელია, რომ ლგბტი ადამიანთა სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გაუმჯობესდეს ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმი იმგვარად, რომ ლგბტი თემის წევრთა ხელახალი ვიქტიმიზაცია იქნეს თავიდან აცილებული და ხელი შეეწყოს დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებებში სრულად აღდგენას.

ქალთა ძალადობისგან დაცვისათვის, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა მოახდინოს "ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის რატიფიცირება და სარატიფიკაციო პაკეტში შემავალი კანონპროექტების მიღება. ასევე, საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება და მიღებულ იქნეს ზომები მისი პრევენციისთვის.

ლგბტი ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე შემუშავ-დეს და დაიგეგმოს ფართომაშტაბიანი საგანმანათლებლო კამპანიები ჰომოფობიური და ტრანსფობიური წინასწარგანწყობების აღმოსაფხვრელად ქვეყანაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ წინასწარგანწყობებზე დაფუძნებული სიძულვილით მოტივი-რებული ძალადობისა და დისკრიმინაციის შემთხვევები.

ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, აუცილებელია, რომ შეიქმნას სპეციალური განყოფილება/ჯგუფი პოლიციაში, რომელიც ორიენტირებული იქნება ამ ტიპის დანაშაულებისა და შემთხვევების გამოიძიებაზე და მონაცემთა დამუშავებაზე.

ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების სრულად რეალიზებისათვის, აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სქესის კვლავმინიჭების სამედიცინო პროცედურები და შესაბამისი უწყებების მიერ მოხდეს ამ საკითხის რეგულირება სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

#### ᲐᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ

- 1. საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/ document/view/91624
- 2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hiKzU8
- 3. საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346
- 4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. ხელმისაწვდომია ბულზე: http://bit.ly/2fT6Qlk
- 5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hzVd5o
- 6. საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687
- 7. საქართველოს კანონი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ." ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/ document/view/1561437
- 8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/ view/16426
- 9. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/104 დეკ-ლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, 1993. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/1iBwJDg

- 10. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშის "ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში". ხელ-მისაწვდომია ბმულზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf
- 11. "დისკრიმინაციული კანონები, პრაქტიკა და ძალადობრივი ქმედებები ინდივიდის წინააღმდეგ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე". გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში. 17.11.2011. A/ HRC/19/41. პარაგრაფი 20. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.un.org/Docs/journal/asp/ws.asp?m=A/HRC/19/41
- 12. COMPENDIUM OF GOOD PRACTICES ON LOCAL AND REGIONAL LEVEL POLICIES TO COMBAT DISCRIMINATION ON THE GROUNDS OF SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY. ევროპის საბჭო. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2alCSY6
- 13. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლეები და ქადაგებები ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.orthodoxy.ge/patriarqi/sarchevi.htm
- 14. აღდგომელაშვილი ე. (2016). "ბრძოლა საჯარო სივრცისთვის". სტატიების კრებული "ანტიგენდერული მოძრაობის აღმასვლა – ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში". ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო. თბილისი.
- 15. ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867. pdf

- 16. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ, 01.03.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2dWQQTT
- 17. აღდგომელაშვილი ე. (2015). "ლგბ ჯგუფის საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში". ტექნიკური ანგარიში. თბილისი. WISG.
- 18. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს "სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ". 2010. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.coe.int/en/web/sogi/rec-2010-5
- 19. "მონაცემები სსკ 109-IIდ. 117-Vდ. 126-IIზ. 142, 142¹, 142², 144¹-IIვ. 144³- IIვ. 155, 156, 166, 258-IIIბ. 407, 408 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და დაზარალებული პირების შესახებ." შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი. 2010-2015 წლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2h64XW1
- "ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში". WISG. თბილისი. 2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women. ge/data/docs/publications/WISG\_situation-of-lgbt-persons-in-Georgia\_GEO-www.pdf
- 21. "2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა." საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის განკარგულება №1138. ხელმისაწვდომია ბმულზე: https:// matsne.gov.ge/ka/document/view/3315211

- 22. "სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი'. International commission of jurists. 2009.
- 23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2016 წლის სტატისტიკა თვეების მიხედვით. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2fWWUJa
- UNFPA საქართველო (2014). "კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში". ხელმისაწვდომია ბმულზე: http://en.calameo.com/read/000713529851130dc6a7b
- 25. UNDP საქართველო, (2013). საზოგადოებრივი დამოკიდე ბულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზ- ნესში". ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/1mYrAuL
- 26. სუმბაძე ნ. (2014). "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში." UN Women. თბილისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20 georgia/attachments/publications/2014/survey%20unjp%20 geo-study.pdf?v=1&d=20150410T184922
- 27. ევროპის საბჭოს კონვენცია "ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ სტამბოლის კონვენცია. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/1RGnVMA
- 28. გვიანიშვილი ნ. (2014). "ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში". თბილისი. WISG. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://women.ge/data/docs/publications/WISG\_ Transgender\_survey\_2015.pdf

- 29. "სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ". საქართველოს სახალხო დამცველი. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3966.pdf
- 30. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cedaw. pdf
- 31. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე. 2016 წლის 4 აპრილი. A/HRC/32/32; ხელმისაწვდომია ბმულზე: https://documents-dds-ny.un.org/doc/ UNDOC/GEN/G16/067/53/PDF/G1606753.pdf?OpenElement
- 32. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი. 2011 წლის 4 ნოემბერი. Case of L.C. vs. Peru (CEDAW/C/50/D/22/2009) ხელმისაწვდომია ბმულზე: http:// bit.ly/2hruUT8
- 33. "ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა: მხარდამჭერი სერვისების მინიმალური სტანდარტები". ევროპის საბჭო. 2008. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2grWcZv
- 34. გაუპატიურების პრევენციისა და მსხვერპლ ქალთათვის მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა. ევროპის პარლამენტი. 2013. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2013/493025/IPOL-FEMM\_ET(2013)493025\_EN.pdf

- 35. აღდგომელაშვილი ე. (2016). "წინასწარგანყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ საქართველოში". თბილისი. WISG. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gZuyij
- 36. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/ Jz4HwZ
- 37. ადამიანის უფლებათა კომიტეტი. "ნიკოლას ტოონენი ავსტრალიის წინააღმდეგ" (№488/1992, U.N. Doc CCPR/C/50/D/488/1992, 31.03.1994). გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ბმულზე: http://hrlibrary.umn.edu/undocs/ html/vws488.htm
- 38. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის (UNICEF) ზოგადი კომენტარი 4 (2003). ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit. ly/2gonGu2
- 39. ევროპის საბჭოს საპარლმენტო ასამბლეის რეზოლუციები: რეკომენდაცია 924(1981) ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ; რეკომენდაცია 1635(2003) ლესბოსელი და გეი ადამიანები სპორტში.
- 40. ECJ Case-law: P.v. S. and Cornwall Country Council, Case №11.656, Report №71/99, 4.05.1999
- 41. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI). მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. 01.03.2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2dWQQTT 01.03.2016.

- 42. კინწურაშვილი თ. (2016) "სიძულვილის ენა". თბილისი. MDF. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2gzUFj5
- 43. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიში. 1977. Bruggeman and Scheuten v. the Federal Republic of Germany.
- 44. "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია." ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov. ge/ka/document/view/1208370
- 45. აღდგომელაშვილი ე., გვიანიშვილი ნ., რატიანი ც., თოდუა თ. (2015). "ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში". საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. თბილისი. WISG.ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2f7zPDj
- 46. "ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების დაცვა, მოკლე სახელმძღვანელო გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე". ევროპის საბჭო, 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit. ly/1KtTpZk
- 47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: "ქრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (№28957/95; 27.03.1996); "ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ" (№13343/87, 24.01.1992); "ი. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (№25680/94, 11.07.2002); "ლ. ლიტვის წინააღმდეგ" (№27527/03, 11.09.2007); "ვან კუკი გერმანიის წინააღმდეგ" (№35968/97, 12/09/2003); "შლუმპი შვეიცარიის წინააღმდეგ" (№ 29002/06, 09.01.2009); "Ү. და Ү. თურქეთის წინააღმდეგ" (№14793/08. 10.03.2015); "იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ." (№26772/95, 12.05.2015); "ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ." (№26772/95,

- 6.04.2000); "ლუსტიგ-პრინი და ბეკეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (№31417/96, 27.09.1999); "სალგუერო და სილვა მოუტა პორტუგალიის წინააღმდეგ" (№33290/96, 21.12.1999); "ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (№2346/02, 29.04.2002)TGEU
- 48. TGEU (2013). "გენდერის სამართლებრივი აღიარება ევროპაში". ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hzWdlj
- 49. რატიანი ც., აღდგომელაშვილი ე., გოცირიძე გ. (2015). დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშა ული ლგბტ პირთა მიმართ. თბილისი. WISG. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hyC315
- 50. ჯალაღანია ლ. (2016). "ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში". თბილისი. EMC. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://bit.ly/2hw1LpH

# "ᲥᲐᲚᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲰᲒᲣᲤᲘᲡ" (WISG) ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

"ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი" (WISG) წარმოადგენს ქალთა საკითხებზე მომუშავე ფემინისტურ ორგანიზაციას, რომელიც 2000 წლის 29 ივნისს დააფუძნა სხვადასხვა პროფესიის 8 ქალმა.

ორგანიზაციის მიზანია ქალთა გაძლიერების გზით ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული სა-ზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელშიც ყველა ქალისთვის უზრუნველყოფილი იქნება სრულფასოვანი ჩართულობა და თანაბარი მონაწილეობა სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ორგანიზაციის განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს შეადგენენ ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები, ტრანსგენდერი ადამიანები, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი, სოფლად მაცხოვრებელი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვა მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენელი ქალები.

მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა როგორც პერსონალურ,
   ისე ინტერპერსონალურ დონეზე;
- ქალთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადვოკატირებისა და ლობირების გზით;

 თანასწორობის იდეების, ფემინისტური ხედვის, ქალთა და უმცირესობათა უფლებების პოპულარიზაცია და საზოგადოებაში მათი უფლებების მიმართ პატივისცემის დამკვიდრება.

გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე მუშაობა "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფმა" (WISG) 2002 წელს დაიწყო. პირველი პროექტი ითვალისწინებდა ქართულენოვანი ვებრესურსის შექმნას გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე. საიტზე განთავსებული იყო სამეცნიერო პოპულარული შინაარსის მასალები გენდერის, სექსუალობის, ჰომოფობიის საკითხებზე, ტერმინოლოგია, ინფორმაცია საქართველოში ჩატარებული კვლევების შესახებ და სხვ. აღნიშნული ვებ-გვერდი დღესაც ფუნქციონირებს (www.minority.ge).

2003 წლიდან დღემდე, WISG-ი ახორციელებს ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევას ქართულენოვან მედიაში. 2005 წელს, "ქალთა გლობალური ფონდის" ხელშეწყობით, WISG-მა დაიწყო მუშაობა ლბ ქალთა ზეპირი ისტორიების მოგროვებაზე. ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა პირველი ლგბტ ონლაინ ჟურნალი; მოკლე ანგარიში ქვეყანაში ლგბტ ჯგუფის მდგომარეობის შესახებ.

